



წლიურად 5 მ. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღ. დრ. სახ. კანტ. ითვებ იმედაშვილთან. Типография „Театри да драмеба“ Тос. Зах. Имедашвили

შინაარსი: მეთაური; გასაფხულის ზირი — გ. ფატხოველის; მეტერლინი და თეატრი — ბ. დავისის; გასამართლებს ქეთეანის და სამშაშვილის — სიტყვანი შ. ად. — მესხიშვილის, ი. მაჭავარიანის, თ. გოგოლაშვილის; დრამათულ გამგეობის წევრი — გ. გომართლის, ზ. ხატანაივი, — ა. თუთაიას; ლექსი, — ცისკარის; ნახულები და სხვა — განსახის; შალაიანი, — სოგოლის, სთეატრო ამბები და სხ.

21 მარტი 1909 წ.

**ქართველ მსახიობთა** გათავდა სეზონი და ქარაწინდელი მდგომარეობა თველ მსახიობს კვლავ წინ აყუდა გაქირვების არჩილი...

სიმშლიისა და წყურვილისაგან თავის დასახსნელად ჩვენთა მსახიობთ კერძო წარმოდგენების გამართვის მიჰყვეს ხელი, ზოგი პროვინციში წვადი შედარებით სუსტი ძალეობთ, ზოგი ადგილობრივ საქმიანობის ისევე დასუსტებული... ზოგთ ბილეთებს ძალით გასაღებით დაიწყეს თავიანთი „მოგაწეობა“... ერთიც, მეორეც და მესამეც ენებს ხელოვნებას, თეატრის დანიშნულებასა და მსახიობის ღირსებას... არ შეიძლება მსახიობმა არ იცოდეს, რა დათვურ სამსახურს უწევს ამ გზით ხელოვნებას, მაგრამ ცხოვრების მოთხოვნილება აიძულებს მოიქცეს ასე...

ნუ თუ ისინი, ვისთვისაც ძვირად ღირს ხელოვნება. ქართული თეატრის საქმე, კვლავ განაგრძობენ სამშობლო სცენისადმი პლატონიურ ტრფილუებას და ახლავ არ შედგებიან საცენო ხელოვნების სიწმინდის დაცვას?

გამათხულის ბირი

გაზაფხულის პარს ყველას და სუყველაფერს ფერი ეცვლება!.. ჰაერში ისინი გაღვიძებული ბუნების დეებული ხმა!.. და აღმაფრთოვანებული სურნელება ეფინება არემარეს!.. მთებ-დან მდინარისაკენ მზულით მოექანებათ ნაკადულები, უფილდებიან ერთმანეთს, და დღმდინარედ ქცეული, ვით დაბრმა-

ვებული მღვივი, მიექანება წინ!.. ვინ შესძლებს წინ დაუდგეს... ვინ გადუღობავს გზას, რაკ-კი ხვდება, ამტრევენს, ლეწავს, და წინ მიჰქრის გაბრაზებული!...

დღეა მიწას მწვანე ხალიჩა გადაფარება და აქა-იქ ყავილის კრძალვით ამოუყვია თავი... მოღვრიდენ გაზაფხულის ფრინველნი; მათი ქიქიკი შეუეწოდა დიდებულ ხმას!.. მუშაკნი წელში გაშლილნი მინდორში მიდიან სამუშაოდა, სადაც მწარე ოფლის მოწურვით ექიბენ ლუკმა-პურს...

აყვავებული გაზაფხული თვისი მომხიბლავობით ჯერ ტკბილად ეზარება ადამიანსა და უღიმის, მაგრამ მერე კი... უცებ ქრება!.. მარტო ოცნებ და რეზა!.. და წინ უხვდება ტანჯვა, ..

როდეს მოხვალ გაზაფხულო, ნეტარებით საესევი?!.. როს წაღეკავ აზვირთებულო გაზაფხულის ტალღა მოწობას, სულის სიმდაბლეს, სულის სიღარიბეს?!.. როს უმღერით ჩიტრო მოფრენ-ღნო. ბედნიერებ ს?!.. გ. ფატხოველი

მორის მიეტერლინი და თეატრი

(დასასრული. იხ. თეატრი და ცხოვრება № 10)

პირველ წერილში ჩვენ გამოვრკვიეთ რასა სთხოვს მეტერლინი თანამედროვე თეატრს. მეტი არ იქნება განვიხილოთ ის მიზეზებიც, რომელთაც გამოიწვიეს ახალი თეატრისაკენ ლტოლვლება. სოციალური ცხოვრების თანამედროვე პირობებმა ჩანებრეს ადამიანის სულში უთანხმოება. თანამედროვე ადამიანი წარმოადგენს ორს ერთი მეორის მოწინააღმდეგე, ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ არსებათ. ამ უთანხმოებამ დაბადა ახალი დულისტური ფილოსოფია, რომელმაც თავის მხრივ წარმოშობა ხელოვნების ახალი ფორმანი, ახალს თეატრს, რომელმაც უნდა

დაგვანახოს ადამიანის სულიერი არსებობა, მისი გულის აზრი, გადმოგვეცეს არა ფაქტნი, არამედ ამ ფაქტთა სინტეზი, ამ თეატრს უნდა გამოენახოს ახალი საშუალებანი თავის მიზნის განსახორციელებლად. ნატურალიზმს უნდა მიეტოვებინოს სცენა, ვინაიდან ახალი ფილოსოფიის აზრით, აღნუსხვა ყოველივე იმისა, რაც გარეშე ცხოვრებაში ხდება, უმნიშვნელოა და მეორე ხარისხოვანი საქმე. ამას გარდა, ცხოვრების ფაქტთა უტყველო მართლმანი აღბეჭდვა არასოდეს ვერ აღწევს თავის მიზანს, ვინაიდან ცხოვრების ამა თუ იმ კოლონიის-მიერ წარმოშობილი მდგომარეობა უფრო ადვილად გადმოიცემა მთლიანი სურათის ერთი კუთხის ხაზგამოთვით; ამგვარი ხაზგასმა შესრულებს თავის დანიშნულებას: მაყურებელი სწორედ იმას მიაჩქევს ყურადღებას, რასთვისაც უნდა მიექციოს მის ყურადღებას. მეტერლინკის აზრით, ამგვარია გორდოსის ნასკვი, რომელიც თეატრმა გაბედულად და მასთან ერთად დაფიქრებით უნდა გამოიხსნას. ასეთი შეხედულება თეატრსა და მის დანიშნულებაზე დიდი რაიონინალურია ჩვენი დროისთვის. ეს არის მიზეზი, რომ სცენის თანამედროვე ნოვატორებს მეტერლინკისაკენ აქვთ თვალი მიპყრობილი. თვით თანამედროვე სტილიზაცია, ფიგურების დალაგების მეთოდი და „სინტეზთა თეატრისაკენ“ მისწრაფება მეტერლინკის ესტეტიური მოძღვრების შედეგია. თვით ამ მისწრაფებასაც სარჩულად უდევს მეტერლინკის იდეა თანამედროვე ადამიანის დუალიზმისა და სულის დამოუკიდებელ არსებობის შესახებ. ეს იდეა უკარნახებს თეატრს ახალ სიუჟეტებს. სცენაზე გამოყავთ გმირნი და მდგომარეობანი-რომელნიც დრამის ძველ დამწერთ სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ. „მე მივიჭრია—სწერს მე ჯერლინკი—რომ მოხუცი, სავარძელში მჯდომი და ლამპის შუქზე ვისილაც ნომლოდინე, უფროს უგდებს უცნობს სამარადისო კანონებს, მის ოთახში გამეფებულს, სცნობს კარისა და ფანჯარის სიღრმეში მიმაღულ სიჩუმეს; სინათლის სუსტ ხმაში იგი ხედავს თავის სულის არსებობას, თავის უხილავ ბედისწყარას... მოხუცი თავს ხრის ოდნავ... მას საესებით ვერ შეუთვისებია ის აზრი, რომ

სამყაროს ყოველივე ძალი მასთან ოთახში მისულა და მასთან ერთად ფხიზლობს, ვითარცა გულმოდგინე მსახური; მას საესებით ვერ შეუთვისებია ის აზრი, რომ თვით მზე იმაგრებს უბსკრულის პირად მდგარს მის მაგიდას, რომელზედ იგი ხელბდაყრდნობილია; მას საესებით ვერ შეუთვისებია ის აზრი, რომ ცისკიდურზე გაბნეულნი მნათობნი, მსოფლიოს სულის ძალნი გულის ფანქვალით შეყურებენ დაქანცულ ქუთუთოთა მოძრაობას და ფრთაშესხვილ აზრის ნავარდს... მე მივიჭრია, რომ ნამდვილის, აზრით ღრმა, ყველა ადამიანთათვის საერთო ცხოვრებით ამ უძრავ მოხუცს უფრო უცხოვრია, ვინემ საყვარლის მკვლელ კაცს, გამარჯვებით გახარებულს კაპიტანს ან თავის პატიოსნების დამცველ ქმარს“. ადვილი მისახვედრია, რომ ეს ფილოსოფია და ესტეტიკა ახლის ფორმით მოველენილი რომანტიული მოძღვრებაა: რომანტიკებიც ხედავდენ ადამიანში ორს დამოუკიდებელ ბუნებას; პოეტის ფანტაზიის-მიერ შექმნილი სამყარო, მათი აზრითაც, უფრო დიდი და მშვენიერი იყო, ვინემ თვალხილული ობიექტიური სამყარო. სულის არსებობას, მის დასუჯათხატებას ისინიც პირველად გილს უთმობდენ. ასეთია ახალი თეატრისა და პოეზიის დანიშნულება. რასაკვირველია, ამ დანიშნულების მისაღწევად თანამედროვე თეატრსა და პოეზიას ხელთ უნდა ეპყრას შესაფერი საშუალება. ყოველი ეპოქის თეატრი და პოეზია ცხოვრების-მიერ წამოყენებულ საკითხთა გარდასაწყვეტად, მათი ხასიათისა და მნიშვნელობის გამოსაკვლევად ხმარობდა ზიტყვას. ეს სიტყვა იმ თავითვე არ წარმოადგენდა რასმე უკვლელს, მუდმივს, არამედ იქნდა დროისა და მოთხოვნილების შესაფერს ელფერს. ეს ქეშმარიტება კერძოდ, თითქმის ყოველი ეპოქის თეატრი ხმარობდა ეგრედ წოდებულს „გარეგანს, აუცილებელს დიალოგს“. მეტერლინკის აზრით, ეს „გარეგანი“ დიალოგი საკმარისი არ არის: ამ „აუცილებელს“ დიალოგს თან უნდა სდევდეს სხვა, ერთი შეხედვით ზედმეტი, დიალოგი. „დაცქერდით მცტის ყურადღებით. თქვენ დაინახავთ, რომ სული მხოლოდ ამ ზედმეტს უსმენს გულმოდგინე-

ბით; მხოლოდ ამ ზედმეტ დილოგის შემწეობით შეიძლება სულაან საუბარი“. პოეტური ნაწარმოების ღირსება-ღირებულება ამ მეორე, სულიერ დრამის მცხინვარებით, ზემოხსენებულ დაუფასებელ დილოგის ხარისხითა და ზომით აღინიშნება. ეს დილოგი ტრაგედიის უმთავრეს სოლამზეს შედგენს, ვინაიდან იგი უფრო ღრმა ქეშმარიტებაა და გაცილებით დაახლოვებულია სულთან. დასულც ხომ დრამის უმთავრეს სავანს უნდა შეაღვინდეს! აშკარაა, მეტერლინიკი უარყოფს თეატრისა და პოეზიის დანიშნულებას შესასრულეპლად სიტყვის საქირიებას. „ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ— სწერს მეტერლინიკი— „რომ პოემა მით უფრო უალოვდება სილამზეს და უპაღლეს ქეშმარიტებას, რაკედნადაც მასში ნაკლებად აქვს ადგილი დათმობილი საქიეილის გაღმორცემ სიტყვებს: ამ სტყვებმა ადგილი უნდა დაუთმონ სიმშვენიერისა და ქეშმარიტებისაკენ ადამიანის დაუსრულებელ, უგრძობელ სულისკვეთების გამობხატველ სიტყვებს“. ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრჯერ მოგვხდენია რომელიმე ალტანელი მდგომარეობის სიტყვით მოსპობა. ვარნა ქეშმარიტად ის არის უმთავრესი, რასაც ამ დროს კაცს ეუბნებან ან რას უბასუხებენ? ამ დროს სიტყვებს მეორე ხარისხიანი მნიშვნელობა აქვთ. „წარმოსდგებიან ახალნი ძალნი და სიტყვანი, რომელთაც ჩვენ მუღამ ვერ ვამჩნევთ“ ეს ფაქტორნი განმარტავენ ამა თუ იმ მოვლენას. აუცილებელ დილოგის, სიტყვისა და უბრალო, მარტივი შეწყენებათა უღლურებაში, სულ სხვა ენის არსებობას შესახებ მოძღვრებაში იფარვის მოულოდნელ სიტყვათა თამაშის, მათი თავისებური კომბინაციის, მრავალწერტილის, ნახევრად თქმულ ფრაზებსა და ხმობა-ძახლის წყარო. აზრის გამოხატვის ამგვარი ხასიათი იმდენად ახალი იყო მოდერნიტთა თანამედროვეთათვის, რომ ამ უკანასკნელთ იქვიც კი შეიტანეს სიმბოლიურ პოეზიის გულწრფელობაში. არც ვასაკირველია, ვინაიდან ახალი პოეზიის უღლწრფელ ქურუმთ გვერდში ამოუღდენ სხვა-და-სხვა ყოლთბანდები და არღვიკენები. რასაკირველია, ცხოვრების მოუსყიდველი ცხრილი გადაარჩენს ავს კარ-

გისავან, დავგანახებებს ერთის გულწრფელს, უანვარო მოღვაწეობას, ხოლო მეორის ფალსიფიკატორობას.

ასეა თუ ისე, პირველად მეტერლინიკმა დაასაბუთა ფილოსოფიურად თანამედროვე ფსიხიკის დამაქსიათებელი ლიტერატურული მიმდინარეობა. მან პირველმა ახად ფარდა ჩვენთვის უხილავს და დავგანახა ახალი თეატრისა და პოეზიის პირობემები. მან პირველმა გვაჩვენა სცენიური მოღვაწეობის ახალი ხასიათი. გაუსწორებელი შეცდომაა მეტერლინიკის ასეთი მოძღვრება, თუ სრული ქეშმარიტება— დაე, ეს საქითხი მოუსყიდველად გნსაჯოს ისტორიამ ჩვენი ჩამომავლობის წინაშე...  
 ზეტრე დაღვაჟი



## განსამართლება

„სამშობლო“ ს კმირების ქეთეგან ლიონიძისა და ლევან სიმშიაძეილისა

სამშაბთს, 16 მარტს, ეგ. გაბაშვილის თანხობით გამართულ სადამოყე ქართულ თეატრში გასანართლეს „სამშობლო“-ს კმირნი ქ. ლიონიძისა და ლ. სიმშიაძეილი. მსაჯულთა თავჯდომარე იყო ილ. ზურაბიშვილი, მისი ამხანაგნი შ. მაქედაძე და ნ. ღორთქიფანიძე, ნათეც მსაჯულთ მამასხდისი ქ. ზ. მყაშვილი, ბრდადეულები: ქეთეგანი—თამარ გოგოლაშვილი, ლევან სიმშიაძეილი—სე. ეიფიანი, დამტკელები: იოს. მაჭავარიანი და ჯლ. მდივანი. ნათეც მსაჯულთ ქეთეგანი და ლევანი გასართლეს, რამც სსოკადიებაში უკმყოფილება გამოაწვიას.

ქ. გუტკედათ სანს სიტუვას. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იოს. მაჭავარიანისა და შ. მესხიშვილის სიტუვებმა. ჯლ. მდივანის ფრიალ შინაარსიანი სიტუვა; ჩუქვან და მოუკიდეუელ მიხეცთა გამო, ჟერჯერობათ ვერ იბეჭდება.

## ბრალმდებელის (შ. ალექსი-მესხიშვილის) სიტუვა

ბანო მოსამართლენო და ნათეცნო მსაჯულენო! ნათლად რომ გამოვარკვიოთ დამნაშავენი არიან თუ არა ბრალდებულნი, უფლებობა რომ გვეკონდეს ვადაქრითა ვსთქვაან ან ერთი

ან მეორე, საქირა განსაზღვრული საზომი —საერთოდ ვინ ითვლება დამნაშავედ? მართალია ამის შესახებ ბევრი აზრი იყო მეცნიერებაში გამოთქმული, მაგრამ დღეს ეს საკითხი ასე სწყდება. საკითხი შესდგება ორის მომენტისაგან, პირველი—თუ ბრალდებულს ესმოდა რას სჩადიოდა, წარმოდგენილი ჰქონდა შედეგი თავის მოქმედებისა და იცოდა უკანონობა, ან დღეს ჩვენ საქმეში, უბატონობა თავის საქციელისა, ჩვენ უფლება გვაქვს პასუხის გებაში მივცეთ, მსჯავრი დავსდლოთ მის მოქმედებას. მაგრამ მართა ეს არა კმარა საქირა მეორე უმთავრესი მომენტი—სურდა თუ არა ბრალდებულს ამა თუ იმ მოქმედებას ჩადენა და თავის საქციელით განსაზღვრული შედეგის გაოწვევა. როცა ეს ორი მომენტი მტკიცდება საქმის გარჩევიდან, ჩვენ თამამდ შეგვიძლიან ვსთქვათ: დამნაშავეა. ამ საზომით მე ვიხელმძღვანელებ ბრალდებულთ მოქმედების დაუსვების დროს.

გადავალოთ თვალი ჩვენს საქმეს. მე აღარ გავიმეორებთ ფაქტიურ მხარეს, რადგანაც სამართლის გამოძიებაში ნათლად გამოარკვია საქმე. მე მოკლედ დავახასიათებ გარეშე პირობებს რომელშიაც ბრალდებულთ უბედობად მოქმედება. თქვენს წინაშე, ბნო მსაჯულნო, ჩვენება მოგვცა სვიმონ ლიონძემ, თქვენ გაიგონეთ დიკანი გოგაის სიტყვები, ნახეთ მოხუცი ქალი. რა საზარელ სურათს გვიხატავენ ისინი! შაპ ბასსმა გააოხრა, მიწასთან გასწორა საქართველო. სისხლით მორწყო მტარავლზე მივლი არე-მარე. ჯალათების წამებას ვერ დახწია თავი ვერც უსუსურმა ბაღმა, ვერც მოხუცმა, ვერც ქალმა, ვერც კაცმა. ხალხი გმინავდა, ხალხი იტანჯებოდა. საუკეთესო მამული შვილი ძალღონეს იკრფავდნენ მტარვალთ მოსასპობად. ხანდისხან ვეღარ აიტანდა ხოლმე ტანჯვის თავისუფლებას ნაჩვევი გული, ბოლმა ამოხეთქავდა და კერძო პირნი შურს იძიებდნენ, როგორც ეს მოხუცმა ქალმა ჩაიღინა. მაგრამ ეს საკმარისა არ იყო საქირა იყო შაპ ბასის დედ-ბუღინა და აღმოფხვრა, საქირა იყო ერის განთავისუფლება. აი პირობები, რომელშიაც უხდებოდათ მოქმედება ბრალდებულთ. ამ საზარელ ხანას ლე ვან ხიმშიაშვილმა შეიყვარა თავისი გულითადი

მეგობრის სვიმონ ლიონძის მეუღლე ქეთევანი. რასაკვირველია გარეშე პირობებს სიყვარულის აღზნებაზე გავლენა არა აქვს, ამისთანა ზღუდე ვერ დაიმკრებს ამ დიად გრძობას, მაგრამ როდესაც სამშობლო განსაცდელშია და ამ დროს გიყვარს შენი მეთაურის მამული შეილის ცოლი, ვალდებული ხარ ყოველივე გრძობას ჩაუთქრდე, იხმარო ყოველივე ღონის ძიება და გამოარკვია თავისი მოქმედება. რასა ვხედავთ. ერთი წელიწადი უყვარდათ ერთმანეთი ლევანს და ქეთევანს, სარგებლობდნენ ყოველივე შემთხვევით ფარულად და მტკბარიყვენ თავისი გრძობით და ერთხელაც არ გაუფიქრებია იმათ თავში აზრს გაომეფლებინათ თავისი სიყვარული, პირბადე აეხადათ იმისათვის და მოტყუების ნაცვლად პირდაპირ გაემხილათ სვიმონ ლიონძისათვ ს. მე ბრალს არა ვსდებ ხიმშიაშვილს და ქეთევანს, რათ შეუყვარდათ ერთმანეთი!. არა! სიყვარული დიად გრძობაა, ვიმეორებ, იმისათვის ზღუდე არა სუფიეს. როცა გიყვარს ღიმილით შესცქერი მზეს, მთა-ბარს, ბუნებას, დე-მანთ; ყოველივე ძარღვი შენის არსებისა ჰიმნს უმღერის ბუნების სიღიადეს; სიცოცხლეს, სილამ-ზეს. მაგრამ ამ მძლავრ და წარმტაცებელ გრძობა.ს ერთი დიადი თვისება აქვს. იგი უნდა იყვეს პირბადე ახილი, იგი ნათლად უნდა უყრებდეს ყველას, უნდა იყვეს თავისუფლი, განუყოფელი.

თუ ამ გრძობას ართმევენ და თვითონვე ფეხ-ქვეშ ჰქელოვენ ამ თვისებათ, იგი სიყვარული არ არის, იგი უბრალო გარყენილება. განა შეიძლება გიყვარდეს და საყვარელ არსებას უზიარებდე მეორეს? განა შეიძლება სიყვარულის ქურდულად დატკობა? არასოდეს! იქნება ბრალდებულნი ამას ვერა გძობდენ? მოიგონეთ ბ.ნო მსაჯულნო, ლევანისა და ქეთევანის სიტყვები, როცა ისინი სვიმონ ლიონძის სხლმა ამაზე ლაპარაკობდენ: „რა ტანჯავა, გეყვარდეს ერთი და მეორეს კი ეყუთვნიდო“, „ამბობს ქეთევანი, „რა სულმღებლობაა ქურდულად მოტყუება მეგობრისა და იმის ცოლას საყვარლად ვახლობა“, ამბობს ხიმშიაშვილი. მაგრამ მაინც თვალთმაქობდენ, მაინც ატყუებდენ ლიონძის. შემთხვევაც ჰქონდათ გამომტკარაყვენ, მაგრამ ვერ გაბედეს,

სანამ ლიონიძემ თიხონ არ გაოსტეხა ისინი. ხომ არ ემინოდა ხიმშიაშვილს, რომ თავის გულახდილობით ავენბდა სამშობლოს განთავისუფლებას საქმეს? თქვენ თვით გაიგონეთ, ბ—ნო მსაჯულნო, ლენინს ჩენება, რომ ევ დარწმუნებული იყო სვიმონის სულის სიღიადეში, რომ სვიმონ პირადის საქმისათვის საერთო საქმეს არ უღალატებდა. ეს ასეც მოხდა. მაშ რათ არ გამოტყდენ, რათ გაჰქეღეს სიყვარულიც და მეგობრობაც? მე ვიპასუხებთ: სულით ლაჩარნი იყვნენ ბრალდებულნი და იმიტომ. ყველა ამ გარემოების გამო მე ბრალს ვსდებ ლენინს ხიმშიაშვილს და ქეთევან ლეონიძისას, მათ ვერ გამოიჩინეს იმდენი სულის სიმტკიცე, რომ აღიარებინათ თვისი გრძობა, ხიმშიაშვილმა დაჰგმო მეგობრობის კავშირი და ორივემ კი ფეხქვეშ გასთელეს სიყვარული.

ჩაუკვირდეთ ქეთევანის შემდეგ მოქმედებას. სიყვარულისა და არა სიყვარულის გადასარჩენად, ქეთევანმა მიჰმართა იმისთანა საზოგადო საშუალებას, როგორც არის შეთქმულთა გაცემა. როცა აღღვებულნი ლიონიძე სახლიდან შექარით გავიდა, მოველავ შენს საყვარელსო, ქეთევანი უკან აღედგენა. იმას ეკვი ჰქონდა, რომ ლიონიძე შეთქმულია. მართლაც შეთქმულთ კრებას თავს წაადგა. შემდეგ ქეთევანი მიდის შაჰ აბასთან და ძალით იწვევს შაჰს სალაპარაკოდ თავისი სიტყვებით: „დარწმუნებულნი ხართ, რომ ხვალინდელი ღვე გაგათენდებოთ?“ ქეთევანმა ძალ-ღალატანგებლივ გასცა შეთქმულება, ადგილი საცა შეთქმულნი უნდა შეკრებოლიყვენ და ნიშანი ბატონიშვილის დავითის შემოსვლისა. მართალია შეთქმულთ სახელები შაჰმა წამებით ათქმევინა, მაგრამ განა არ იცოდა ქეთევანმა, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო. უსუსური უნდა იყვეს ადამიანი, რომ არ იცოდეს, საჭიროა მტარვლის მის წინააღმდეგ შეთქმულება გაუმღავნო და დანარჩენს თვითონ გათქმევინებს. ვისაც გამოუტლია, მტარვალთა ხელში ყოფნა, ეს ძალიან კარგად იცის. იქნება ქეთევანი არა გრძობდა თავის საქციელის სისაძაგლეს და ან ანგარიშს ვერ აძლევდა თავის თავს, რას სჩადიოდა? მართალი არის ბ—ნო მსაჯულ-

ნო, ისკანდერ ბეკმა გვითხრა, რომ ქეთევანი აღღვებულნი იყო, მაგრამ ეს აღვიღად ასახსნელია და აღღვება სიგიჟეს არა ნიშნავს. დახელოვნებული ჯაშუშიც კი გულგრილად ვერ გაცემს უღანაშულო ადამიანთ. მოიგონეთ, ბ—ნო მსაჯულნო, ქეთევანის სიტყვები: „ვიცი, რომ რასაც ვჩადივარ—საზოგადოება“, დააკვირდით შემდეგ ფრაზას: „ისარგებლეთ ჩემის სიგიჟით, ის თქვენ სიცოცხლეს მოგანიჭებთ“, და თქვენ დარწმუნდებით, რომ ქეთევანი ანგარიშს აძლევდა თავის თავს, იცოდა, რას სჩადიოდა. არ არის გიჟი ადამიანი, რომელიც თითონ ლაკარაკებს თავის სიგიჟეზე და ესმის თავის საქციელის საზოგადოება. მე მეტყვიან: ქეთევანს სამშობლო არა ჰქონია, მამულისადმი სიყვარული არ გამოუტლია და ამიტომ შეთქმულთა გაცემა დანაშაული არ არისო. ბ—ნო მსაჯულნო! განა შეთქმულთა მტარვალის ხელში მიცემა იმიტომ არის საზოგადო, რომ შენს სამშობლოსა სცემ? არსოდეს! სამშობლოს გაცემა ფსიხოლოგიურად უფრო ძნელი ჩასადენია, მაგრამ ყოველივე გაცემა, ვისიც უნდა იყოს, საზოგადოება; მით უმეტეს, რომ ქეთევანმა გასცა პირადად თავისთვის სრულიად უღანაშულო პირნი, გასცა ერის განთავისუფლების საქმე.

განა ეს საქციელი შემადრწმუნებელი არ არის? განა ამის პატიება შეიძლება? არსოდეს! რა სულმდაბალი უნდა იყოს ადამიანი, რომ თავის საყვარელს გადასარჩენად დაღუპოს თუ გინდ უტყოს ერის განთავისუფლების საქმე, ცეცხლის კოცონზე გაგზავნოს მამულონიშვილნი. ეს საქციელი „შეუნდობელია, რისთვისაც უნდა იყოს ჩადენილი. მერე რით ამართლებს თავის საქციელს ქეთევანი? „მე ქალი ვარ და ჩემი სამშობლო სიყვარულიაო“ რას ნიშნავს ეს? იქნება ქალი რადცა ვანკერძობული ქმნილება, ამას ადამიანური არაფერი აქვს? შეიძლება ქალის არსს შეადგენს მხოლოდ სიყვარული? მოიგონეთ, ბ—ნო მსაჯულნო, ქეთევან, მაგრამ ეს უკარა, ქეთევანს წამუქლია, მოიგონეთ უფრო ახლო ხანს საერთო საქმისათვის მებრძოლნი ქალნი, რომელთაც მთელი ძალ-ღონე და თვით სიცოცხლაც შესწირეს თავის მიზნის განხორ-

ციკლებს და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ ქალი იგივე აღმიაჩნა. იმას აქვს ყოველივე აღმიაჩნური გრძნობა, აღმიაჩნური გრძნობას კი, მართო ქლსა და კაცს შორის სიყვარული არ შეადგენს. მე აქამდინ ვერ დავამტოვრებ ქალს და სწორედ ამიტომ პასუხს ვთხოვ ქეთევან ლიონიძისას მის სახიზლარ საქციელში. რა შედეგი მოჰყვა შეთქმულთა გაცემის? დამონაგებული კრი უკანასკნელ ღონეს იკრფებდა მტარვალთ დასაცემად. ყველაფერი ხელს უწყობდა და მზად იყო, მაგრამ იმის მავიერად, რომ აზვირთებულ ჯალხს ხმლის ტრიალზე დაეგუგუნებინა: სიკვდილი მტარვალთ, გაუმარჯოს განთავისუფლებულ საქართველოსო, უარესი ტანჯვა, უარესი გათელვა ერისა, წამება საუკეთესო მაშულიშვილთა.

ბ—ნო ნაფიცრო მსაჯულნო თქვენ, როგორც საზოგადოების სინილისის გამოხმატყეულნი, ვალდებულნი ხართ ჩაუკვირდეთ საქმეს. ამისთანა სახიზრობას თქვენ ვერ აპატიებთ და მე იმედი მაქვს, რომ თქვენი განაჩენით დაუბრუნებთ სიყვარულს გულ ახდილობას, დაგმობთ მეგობრის მოღალატეს და საშვილიშვილოდ სამარცხვინო მოძვედაკარავთ ყველას, ვინც პირადის ვნებათაღელვისათვის საზოგადო საქმეს გასცემს.

შ. ვ. აღ-ქესნიშვილი



ვექილი იოსებ მაჭავარიანი

ვექილის (იოსებ მაჭავარიანის) სიტყვა

ბ—ნო მსაჯულნო და ნაფიცრო მოსი-მართლენო! დამცველის მოვალეობა საზოგადოეთ და განსაკუთრებით კი ასეთს საქმეში მტის მტად მიიწევა. ბრალდება აღმიაჩნის ადვილია, ხოლო მართლები-კი ძნელი. ადამიანის ბიროვნების გათელვა, იმის ტალახში ჩაგდება

და გასვრა ადვილია, მაგრამ ტალახიდან აღმიაჩნის ამოყვანა, იმის გაწმენდა და ფეხზე დაყენება კი მტად ძნელი საქმეა, თუმცა ის საქმე უფრო აღმიაჩნური, უფრო ზატოსანია. ნაკლს ადვილად შეამჩნევთ აღმიაჩნს, მაგრამ უნდა აორკეცოთ ყურადღება, უნდა აორკეცოთ მხედველობა, რათა დაინახოთ ის ღვთიური ნაპერწკალი, მუდამ რომ ღვივა აღმა-აჩნის სულში, მუდამ რომ გამოჰკრათის, სანამ გული ცეპას არ შესწყვეტს. ჩვენ უნდა ავხადოთ ამ საქმეში კრეტახამელი და დავანახოთ მთლა განსუსაზღვრელი სდაიდე ქეთევანის სიყვარულისა, ჩვენ უნდა გადავშალოთ თავგანწირული ქართველი გმირის გული და დავანახოთ სიყვარულის ცრემლი ზედ შხამათ დაწვეთებულნი. აი, საძნელე ჩვენის მოვალეობისა! ამას უნდა დასძინოთ ის, რომ ავერერთ საუკუნეზე მეტია, რაც ქართველი ფემიდა, არამც თუ დაბრმავებული, დამუნჯებულია!.. ახლა იდგამს ენს... და ვით ახლად ენა ადგმულ ბავშვს ბევრი რამ ეპატივის, აგრე, თუ რამ სისუსტე შეგვენიშნოთ, ჩვენც გვაპატიეთ და დავგებმარეთ, რათა საერთო ძელ-ღონით მოვნახოთ ამ საქმეში ის სიმართლე, რომელზედაც აგებულ უნდა იქმნეს მართლმსაჯულების წმიდა ტაძარი. მაშ, ენახოთ, რა ბრალსა სდებენ ქეთევანსა და ლ. ხიმშიაშვილს?

ბ. ბალომდებელი ამბობს: ქეთევანმა უღალატა ქმარს, ხიმშიაშვილმა მეგობარს—იმ დროს, როდესაც სამშობლო განიცდიდა უსაშინელეს პოლიტიკურ კრიზისსაო; ქეთევანმა გასცა ქართველთა შეთქმულობა და დაღუბა საზოგადო საერთო საქმეო. საზოგადო საქმე? მაგრამ ვისთვის იყო საერთო ეს საქმე? მხოლოდ ქართველთათვის. და განა ქეთევანი ქართველია? არა, ის არის სპარსელი ქალი, ირანში დაბადებული, სპარსულ აკვანში აღზრდილი... დედის ტკბილ ძუძუს მოპოლიჯეს პატარა ქეთევანი და ტყვედ წამოიყვანეს. მართალია, ლიონიძემ გამოიყიდა, ტყვეობიდან იხსნა, მაგრამ განა გაანთავისუფლა, განა მის სამშობლოს დაუბრუნა ქეთევანი? არა მან შეურაცხველი ბავშვის წმიდათა-წმიდა, უგმო ღმერთი, გამოაცვლევინა სარწმუნოება და დასტოვა თავის სისახლეში. არა მგონია,

რომ მაშინ ლიონიძეს აღძვროდეს სურვილი იმის ცოლად შერთვისა. დასტოვა ისე, ვით გამოყიდილი მონა—მოახლე. დრომ გაიარა. ქეთევანი ჭოიზარდა. მისმა სლამაზემ, მისმა მშვენიერებამ მოხიზლა ლიონიძე. ლიონიძემ ინება დაქორწინება, მაგრამ ვერ შეითბო ქეთევანი. იგი შეიქმნა მხოლოდ კანონიერი ქმარი და არა განუყრელად შეერთებული მკვლელ მისი, სვიმონის გულზე სიყვარული-საგან დანაკვეთი ნაპერწკალი ვერ წვდებოდა ქეთევანის გულს და თუ ხანდისხან მისწვდებოდა ხოლომე,—ვერ ანთებდა ღვთიურ ცეცხლს სიყვარულის საკურთხეველზე. სვიმონის სიტყვა ქეთევანის სმენას არ ატკობდა. ხორცი ახლო იყო, სული შორს გარბოდა. ლიონიძე ეალერსებოდა ქეთევანს, თავზე ევლებოდა, უგალობდა თავის სამშობლოს სიყვარულს და განთავისუფლების ჰიმნს, მაგრამ ქეთევანს ამ დროს სპარსელი დედის ნაწინა ტბილ ჰანგებთ ეწვევებოდა სულის სიღრმეში, ვით წელი წვიმა მკვდარ უდაბნოში... სვიმონს ასულდგმულვება, იმედებს უცისკროვნება მიჰქონდა სიყვარული. ქეთევანი კი მოკლებული იყო ამ ბედნიერებას. მან არ იცოდა, თუ რა არის ერის ღვინა, რა არის ერის ჰერ-ვარამი. მას არა ჰქონდა სამშობლო! და კიდევაც ჰყენსოდა მისი გული: „ჩემი სამშობლო სიყვარულია“. ლიონიძემ კი ვერ შესძლო შეექმნა ქეთევანისათვის მეორე სამშობლო. ქეთევანს არას დროს არ ჰყვარებია ლიონიძე. ლიონიძეს კი ეგონა, რომ კანონიერი ქორწინება თავისათვის წარმოშობს სიყვარულსაო. მაგრამ ეს ისეთივე ტლანქი უვიცობაა, ისეთივე სისულელეა, როგორც მტკიცება იმ აზრის, რომ, თუ მშვენიერ მინდორში შექარი დასთესე, უსათუოთ შექარ-ბინელი უნდა ამოვიდესო. ლიონიძემ ვერ შესძლო აღვზნება სიყვარულის ცეცხლისა ქეთევანის გულში.

„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰპართებს მართ ვითა მზეობა, „სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა“ —ო.

ამბობს უკვდავი რუსთაველი. ყოვლად შემეკული, დიდებული მამულიშვილი არას სვ. ლიონიძე, მაგრამ არც „სიყმე“ შესწევდა,

არც „მოცალეობა“ ჰქონდა... და ამიტოვაც ვერ შესძლო ქეთევანის გიმიჯნურება. სამწუხაროთ, ათის წლის განმავლობაში ვერ მიხვდა ამას სვ ლიონიძე.

აი, ამ მდგომარეობაში იყო ქეთევანი, როდესაც მის ობლობისაგან დამწუხრებულ გულს მოხვდა პირველი ისარი სიყვარულის ღმერთისა, პირველი სხივი ბედნიერებას მზისა. ქეთევანმა ნახა ღირსეული მიჯნური და შეიყვარა ხიშიაშვილი მთელი თავის ბუნების ძლიერებით. ვის შეუძლია სთქვას: „რათ ანათებს მზეო“ ვის შეუძლია უკეთესოს ქეთევანს: „რათ შეიყვარე ხიშიაშვილი-ო?“. მზე ანათებს მისთვის, რომ არ შეუძლია არ ანათოს. ქეთევანმა შეიყვარა ხიშიაშვილი მისთვის, რომ არ შეეძლო არ შეჰყვარებოდა. ასეთი სიყვარული ისეთივე აუცილებელია, როგორც სიკვდილი, ისეთივე კანონიერი ბუნებით და ისეთივე მძლავრი, ვით დედამიწის ბრუნვა, და თუ ვინმე გიჟმა მოინდომა ასეთი ძალის შეჩერება, ისე გააცამტვერდებოდა, როგორც ცეცხლ-მოდებულ თოფის წამალი! აი, სწორედ ასეთი სიგიჟე ჩაიდინა ლიონიძემ, როდესაც მოიწადინა ქეთევანის გულიდან აღმოფხვრა იმ სიყვარულისა, როდესაც უთხრა ქეთევანს: მე შენს სიყვარულს მოეკლამო. როგორ? ლიონიძემ უნდა მოკლას ხიშიაშვილი? ეს მიჯნური, რომელშიაც მოთავსებულია სამშობლო, სარწმუნოება, ბედნიერება, თვით უკვდავება ქეთევანისა?! ოჰ!... ამ საშინელების წინაშე გაქვავდა გონება... და ამხედრდა მხოლოდ გამძვინვრებული ისტინტ ცხოველის თავის დაცვისა! თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ქეთევანმა შემთხვევით გაიგო საიდუმლო შეთქმულობისა და, თითქმის ჰკუთხე შემცდარი, შემულილი გაექანა შაჰ-აბაზთან, რათა ლიონიძის სიკვდილით დაეხსნა, გადაეჩინა თავის სიცოცხლეს, თავის ღვეანი. მან ყოველი უამბო შაჰ-აბაზს, მაგრამ როდესაც თავისი ქმარი უნდა დაესახელებინა, უფორად გამოიჩინა, თითქოს რაღაც ძარღვი გაწყდა, კეთილშობილმა გონებამ გამოიღვინა, ქეთევანმა უარ-ჰყო თავის განზრახვა, დააპირა გაქცევა,—მაგრამ შაჰ-აბაზის მტარავლობამ მალე ისევ დააჩლუნვა, დააღუნა მისი გონება... „აწამეთ“, ბრძანა შაჰმა... ქეთევანმა

ვერ იტანა წამება და ვასცა თავის ქაბრიც და მისი მოხრებებიც. აქედან ნათლად ჰხედავთ, ბ — ნო მსაჯულნო და ნაფიცნო მოსამართლენო, რომ ქეთევანზე თუ რომ დანაშაული ჩაიდინა, ჩაიდინა ან მაშინ, როდესაც თავის ქეუზედ არ იყო, ან მაშინ, როდესაც წამების მუხრუქს უჭერდენ. ვერც პირველ შემთხვევაში, ვერც მეორეში, თქვენ იმას ვერ დასჯით. დანაშაული დანაშაულად რჩება, მაგრამ ამ დანაშაულისათვის არც ერთი კულტურულ ერის კანონი ადამიანს არა სჯის. არ სჯის მიტომ, რომ პირველ შემთხვევაში შეშლილის დასჯა არ შეიძლება, მის ეჭიშობა სჭირდება, მეორე შემთხვევაში კი არავის არ აქვს უფლება მოსთხოვოს ნორმალურ ადამიანს: უსათუოთ გმირობა უნდა გამოიჩინო, უსათუოთ გმირი უნდა გახდეთ. წამების ატანა, თავის სიცოცხლის შეწირვა გმირობა არის, მაგრამ ასეთი გმირობის უქონლობა: დანაშაული არ არის, და თუ დანაშაული არ არის, არც ქეთევანია დამნაშავე. რაც შეეხება ქმრის ლალატს, ვის შეუძლია ქეთევანის დასჯა, მაშინ როდესაც თვით სე. ლიონიძემ შეუწინაო მას? ლიონიძე თვითონ კარგად იცნობდა ქეთევანის სიყვარულს. და ვინც მისავით იცის თუ რა სასწაულთმოქმედია სიყვარულის ყოვლად შემძლებელი ძალა, ვინც მისავით იცნობს სიყვარულს, ამ სიკვდილ სიცოცხლის გამჩენელ ღმერთს, ის ყოველთვის შეუწინაო და გაამართლებს ქეთევანს.

ახლა ვნახოთ, რა ბრალს სდებენ ხიმშიაშვილს? ბ. ბრალმდებელი ამბობს: ხიმშიაშვილი ვერ გამოიჩინა იმდენი სულის სიმტკიცე, რომ გულახდილად აღიარებინა ღიონიძის წინაშე: შენი ცოლი უნდა შევიყვაროო; ამის მაგივრად მეგობრის გაუგებლად მან შეიყვარა, საყვარლად გაიხადა იმასი ცოლი; მერე ყოველი ეს, დასძენს ბრალმდებელი, ჩაიდინა მაშინ, როდესაც სამშობლო განსაცდელში იყო. ასეთი ბრალდება ყოვლად უსაფუძვლო, ბრალმდებელი მსჯელობს ისე, თითქოს სიყვარულის შოვნა, რეცეპტ-ი გამოწერა შეიძლებოდეს. იმის სიტყვით, ხიმშიაშვილის სანამ შეიყვარებდა ქეთევანს უნდა შეჭიხობოდა თავის გონებას, უნდა გაეთვალისწინებინა,

მისცემს თუ არა ქეთევანის შეყვარების ნებას მას ან სამშობლოს ინტერესს, ან მეგობრის კავშირს, და თუ მისცემს, რამდენი გრამი სიყვარულისა უნდა მიეღოს, რომ მერე ეთქვა თავის მეგობრისთვის: ახლა კი შევიყვარე შენი ცოლიო. ერთი სიტყვით, ბრალმდებელს უნდა, რომ სიყვარული ემოჩილებოდეს ლოლიკას, მაგრამ ყველამ უწყით, რომ სიყვარული მოქმედებს ლოლიკის კანონების ფარგლის გარეშე. და თუ ლოლიკამ სიყვარული დამოჩინა, მაშინ თვით სიყვარული თავის სტიქიონური ელემენტებით ჰჭრება, და იხადებიან სულ სხვა გზაობანი. ბრალმდებელმაც მშვენიერად იცის ეს, მე დარწმუნებული ვარ ამაში, მაგრამ ის ამ კითხვას გვერდს უვლას. მის მსჯელობას სულ სხვანაირი სარჩული აქვს. ის სარჩული ბრალმდებლის გონებას პათიოსანი პროტესტია. ის ამბობს: ეს არ უნდა იყოს ასე! ლოლიკა სიყვარულს არ უნდა მოაჩილებდეს; სიყვარული თავის სტიქიონურ ბრძოლის დროს არ უნდა ანადგურებდეს, არ უნდა სთელავდეს სხვა ადამიანის კეთილშობილ გრძობებს, რადგანაც ეს შეურაცხყოფის ადამიანის მეფურ ბუნებას. თანახმა ვარ, მაგრამ რას იზამ, რომ ეს ბუნების კანონია. უთუოთ გალილიეს ბრალმდებელიც არწმუნებდა მსაჯულებს, რომ დედაბიწა არ უნდა ბრუნავდეს, ეს შეურაცხყოფა ადამიანის სარწმუნოებისა, იმის გონების თავმოყვარობისა და სხვა... ვინ იცის? შეიძლება მართლა უკეთესი იქნებოდა, რომ დედაბიწა არ ტრიალებდეს: კუდიან ვარსკვლავს მაინც არ წააწყვდებოდა სადმე. მაგრამ რას იზამთ, რომ „მაინც ბრუნავს და მაინც ბრუნავს!“ უნდა დავმოჩინოთ ბრალმდებელიც ამ ბუნების კანონს. მე ვამტკიცებ: ვერც ხიმშიაშვილმა, ვერც ქეთევანმა ვერ შენიშნეს ის მომენტი, ის წამი, როდესაც სიყვარულმა შეაერთა მათი გულთა ცემა და დააყუჩა ყოველი სხვა გრძობა, ყოველი მოსაზრება. ისინი მიეცნენ სიყვარულის ტყვეობას და როცა რამდენიმე წუთით გამოიღვიძებდნენ ხოლმე, ქეთევანი ეხვეწებოდა დედას: მომიტოვებო, წამიყვანე სადმე, დარწმუნებულია ასეთი მდგომარეობის ატანაო; ლევ. ხიმშიაშვილიც სწუხდა, უნდოდა, ასეთ მდგომარეობის მოსპობა, მაგრამ სიყვარულის ტყვე-

ლი ძილი ისევ მალე უზღუდვად ორივეს გონების თვალმებს. და სანამ ამ სიყვარულის ბუ-რანიდან გამოირკვეოდნენ, უზედურებაც თავზე დაატყდათ. გენა წარმოიდგინდა ლიონი-ძე ან იფიქრებდა ქეთევანი, რომ მათი სიყვარული შექმნებოდა მიზეზი ქართველთა შეთქმულობის გამჟღავნებისა? ამა, ვინ მოიფიქრებდა! ეს ისეთივე მოულოდნელი მოვლენა იყო, როგორც მეხის გავარდნა მოწმენდილ მზიან ამინდში. მას თუ ყოველი ეს მოულოდნელი მოხდა, თუ ყოველი ეს ჩისახა და დაიბადა ქეთევანის და ლევანის ნების და სურვილის გარეშე, რა დანაშაულზე შეიძლება დაბარაკი! დამნაშავე აწ არსად სჩანს! და თქვენ ქეთევანიცა და ხიმშიაშვილიც უნდა გაამართლოთ. მაგრამ ეს არ კმარა!

მე ვერ შევთვისებებივარ იმ მოვლენას, რომ ქართველებმა ხიმშიაშვილი დამნაშავეს სკამზე დასვეს. თუ ქეთევანმა წამება ვერ იტანი, თუ თავის სიცოცხლე ქმარს და საზოგადოებას ვერ შესწრა, თუმცე დამნაშავე არ არის, მაგრამ თუ მინც გმობოდა ვერ გამოიჩინა, ხიმშიაშვილი ხომ გმირი! გმირობის ასეთი, რომ მისი სულის სიმბურველე და ძლერება ათობს და ასულდგმულბა ერს... მაგრამ ქართველებს ერთი წყუული ჩვეულება გვაქვს: თუ შევნიშნეთ არამც თუ გმირი, არამედ უზარლო კეთილი მამულიაშვილიც კი, უსათუოთ ტღაბი უნდა ვცხროლოთ, და არ მოვიცენებთ მნამდის, სანამ ან ტყვიით არ გავუვმირავთ შუბლს, ან დამნაშავეს სკამზედ არ დავსვამთ. ეს ახირებული ჩვეულება რომ არა, რა უნდა ხიმშიაშვილ: დამნაშავეს სკამზე?! ხომ დარწმუნებული ხართ, რომ ხიმშიაშვილმა თუ დაინახა, რომ სამშობლოსთვის ეს საჭირო არისო, თვით ქეთევანს დასცემს დანას გულში, თავის სიცოცხლეს შესწირავს მამულს იმ წუთშივე, რა წუთშიც სამშობლო ამას მოსთხოვს! ეს დამნაშავე კი არა, ეს მამულიაშვილის იდეალია! გაუმარჯოს ასეთ ქართველ მამულიაშვილებს! გამართლება კი არა, ქედრი მოიხადეთ და თავიანი ეცით ლევან ხიმშიაშვილს!..

იოსებ მაჭავარიანი



თამარ გოგოლაშვილი

ქეთევან ლიონიდის  
(თამარ გოგოლაშვილის) სიყვება

ბ — ნო მოსამართლეო და ნათვინო მსჯულნო! მე ბრალად შედგას ჩემის ქმრის სვიმონ ლიონიდის დალატი, შეთქმულების გაცემს და მით სამშობლოს — სქართველოს დაღუპვა. ვიდრე ჩემის ქმრის მიმართ დალატზე დავიწყებდე დაზარაქს, ნება მომეცით თქვენი უკრადლება შეგახრო იმ ჰირთებზე, რომელშიც მინაწილად ეს დალატი. ჩემს ქმარს მე ბავშობიდან ვიცნობდი, მან ამოვიყვანე ქუჩიდან, გამსჯარდა, დამისხნა ტყვეობიდან, განუწყვეტლივ სწრუნვდა ჩემს ბელზე და უზრუნველ ჰყო ჩემი ცხოვრება. ოჰ! ამდენ სიკეთესთან ერთად ერთი რამ რომ მოეჩვენებოდა! ოჰ!, რომ სცოდნოდა, რომ სსეყარელი მამს საყვარელ ქმრობას ვერ გამოვიყვანდი; მე, ბავშვი, ჯერ უკრძნობელი, გამოუცდელი რომ არ შევერთუე! აი ეს იქნებოდა უმადესი და წაუშლელი ჯილდო ჩემს ცხოვრებაში. მარა განს ასე მოექცა ს. ლიონიძე? შემიერთა ბავშვი ისეთმა მოსუტმა, რომ შეილდა ვეკადრებოდა... შემიერთა ლიონიძემ ცოლად და შემაშო მდიდრული სამოსელი. მაგრამ ის კი არ მომეცა, რაც ეჭირებოდა, რაც სცოდნებოდა: ჯამიანს და ჯერთეს ცოლ-ქმართა ნამდიდრე კავშირს — სიყვარული.

როგორ გცნობდა მე ჩემ ქმრის სსხლში? მთელი ათი წელიწადი მე არ ვიცნობდი, რა სტეობდა ჩემი სსხლის გარე, მე არ მიხილავს ერთხელაც განსახელების სით, მე არ დავუტკბარავ სსქართველოს სვიმონის სით, მე არ დავუტკბარავ სსოთახში და მის იქით ჩემი ფეხი არ იდგმოდა. სულ მარტო, უფრო ხშირად მოსმსხურებუნი მეტი არავინ შევსად ირგვლივ და ისინი თავის სიცოცხლით ცხოვრობდნენ. მე კი სულ მარტო შევეურებო-

დი ოთხ კედელს და ჩემს ხსელგახდობას ცრემლებში ვლევდი. რა მომინატა მე ს. ლიონიძემ— ხსელ-ვარნი ტყვეობა მხოლოდ. დამისნსა ერთი ტყვეობიდან და ჩამას შორე მოკაცხმულ სტრუს-ლოში. ჩემი ქმარი ნამდვილი შეუღლე იყო ჩემი?— მამ რატომ მან არ შემიყვარა მე, როგორც ადამიანი. რატომ არ გამცნო თავისს სამშობლოს და არ შემიყვარა იგი. რატომ არ აღძრა ჩემში ადამიანობის სურვილი? არა, ის ჩემში ხედავდა მხოლოდ სთამაშო უსაიტყო ნივთს, მას ვეფიდი მე მონად, მოახლედ მხოლოდ. მას ჰყავდა თავის სიყვარული, ჰყავდა სტრეფილოდ, ის მისი აღერსით გამძვარი, მის დასცეფლად მოღვაწე-მოქმედული მოვლიდა და შინ და მე უნდა ხსელა შექლია მისთვის ის, რაც მომეცეფებოდა—ხევესა, ვოცნა, აღერსი, მიუხედავად იმასა, მინდოდა ეს თუ არა. დაიდ უნდა შექლია, რადგან მე იძულებული ვიყავი შექა ზატოვი ჩემის ბატონისათვის, ჩემის დამსხველმისათვის. მე სულ მართო ვიყუე, არავინ შევანდა, რომ თავი შემიყვარებინა, და გავსულიყუე ჩემის ქმრის სახლიდან. დაიდ, მე ვაძლევიდი მას, რაც კი ენდა ჩემს ცხვირებულ უგრძობად გულს. ჩემი ქმარი ორგვარი წყაროდან ივსებდა ძალას—ერთის თავის სიყვარულ სამშობლოს დაცვაში და მეორეს კი ჩემიკან. ხსელა მე შეკითხეთ, მე განა ადამიანი არ ვიყუე, არ შექნდა სული და გული?— მე კი რას მძლევიდი ჩემი ქმარი სსიციტრ-ხლოდ—არავერსი კარდა მრავალ ტანჯვა-წყალები-სა და უძილოდ ცრემლებში გატარებულ დამეუბისა. განა მე 10 წლის განმავლობაში გამირისხებია ჩემი ქმარი—**არა**: ის კი მუდამ მარისხებდა და მიწამ-ლაგდა სულს თავის სიყვარლის ქება-დიდებაში. „სამშობლო“ იძისოდა. რა ვიცოდი მე, რა იყო სამშობლო? მე ის არ შექნია. დაიხ, ჩემში სულაც არ ენთო მამულის სიყვარულის გრძობა.

მე, ორი სისხლის ბატარებულს, ორი ხსელის შეიღის, თანდაყოლილი სენი მქონს: გულ-გრძობობა მამულისადმი. ვამულოებ, რომ ეს სენი თანდაყოლილია და მით უმეტეს ძლიერი, რომ მე არ შეუღია ისეთი აღმზღელი, რომელიც ცდილიყო ამოეთხვრა და სსამგეოროდ მამულისადმი სიყვარული სწლი გრძობა ჩაენერცა და გაემტკიცებია. მე არ ვიცოდი სამშობლოს მნიშვნელობა, რადგან არ ვიცნობდი მას. ჩემს ქმარს ნება ჰქონდა ჰყვარებოდა სხვა ვინმე ჩემს კარდა, დამტყაროთ მითი და მე კი არა? მოთმინების ფილა ივსებოდა. არ ვიცო რა მომელოდა, მარა ძველებურ ზიარებებში დარჩენა კი

შეუკლებელი იყო ჩემთვის. უეცრამ შეთხვევამ შესცვალა ეველაფერი. მე ვიცოდი მეკრდში უცხო, მკერამ სსამსიელი მძლევი ძალა, კახლდა მიღმე-ბულ გულში ცეცხლი, კახლდა სსამსიელის ძლით, შემობლა და დამომისავე მე იმ ცეცხლის აღმა—ამ სსამსიელ ძალას თერმე სიყვარული ეწოდება. დაიდ, მე შემიყვარდა მთელი ჩემი ხსელგახდა სულით და გულით ჩემი ქმრის შეკობარი, ხსელგახდა მეომარი ლეკან სსამსიელი. მსაც შეეყვარდი მე. მე ლეკანში ვხედავდი ჩემის ცხოვრების ნამდვილი მეგობარს, განმანათილიებულს და ხსელი გზის მჩენებულს, ჩემ უმწეო მძღომარეობიდან დამსხველს. ხსელა მე მინდა გკითხეთ თქვენ, განა ეს დალატია? განა მე არ შექნდა უფლება, როგორც დედაცეს, როგორც ადამიანს შემიყვარებოდა, მეგრძო სიყვარული, როგორც ჩემს ქმარს. მე მიყვარდა ლეკანი, რომლის სიყვარულშიაც ვხედავდი ყოველივე კარგს და მძეუნიერებას.—თქვენ ეს დალატი გკონიათ, თქვენ ჩემს სიყვარულს დალატს უძახით. განა მე ათი წელიწადი არ მდალატობდა ჩემი ქმარი? თუ ეს დალატია—მამ დამინაშევი ჩემი ქმარიც ყოფილა. რადგან მან იმ ზიარობით, რომელშიაც ჩამაყენა, აქამდის მიმიყვანა. მან მიმიყვანა დალატამდის. მო-დალატე ჩემი ქმრისა და არა მე. მამ ისაა დამინაშევი და არა მე.

ხსელა, ბატონებო, გადავდივარ მეორე ბრელდე-ბაზე—შეთქმულობის ცაცემასე. როცა კაიგო სვიმონ ლიონიძემ, რომ მე სიყვარული შევად, მიყვარდა და ნიშანიც შეიტყო მის საცნობად. რა ჩაიღია მან? მან არ დამინდო მე და ეველაფერი წამამეყვე-რა: გზრდილი, ცაქმევიდი და ჩემი უნდა ყოფილიყავო. მან არ დაინდო ის გული, ის გრძობა, რომელიც მას 10 წ. თავს ევლებოდა, იმ ადამიანის წმინდათა წმინდა, რომელიც, თავის სიტყვით, ძლიან უყვარდა, გასრისა ეველაფერი ფეხით და ჩემის სიყვარლის სიყვადლს დამეუქრა. მას უნდა მოეკლა ის, რაც ჩემთვის შედგენდა ერთად ერთ წყაროს ჩემის სიტყვებისას. მე შემიზინდა მამის ის და გულში შურის ძიების სურვილი აღმე-რა. ჩემმა ქმარმა არ იუმარა ის, რომ მთელი ათი წელიწადი ნელ-ნელა მართმევიდა ადამიანობის წყაროს და ხსელა მთლად მისი დასაფლავება მითისურვა. გაემურა შურის სძიებლად ის და მეც ცავევი უყან. ვინ მიმიყვანა მე მშთან—ჩემმა ქმარმა—მისმა ჩემდამი უმეზავსო შურის ძიებამ. უეცრამ შემთხვევამ შავის თავი ხელთ მიგდო და მეც მინ-

დოდა მესრგებლან ჩემი სიყვარლის დასასხნელად. შავს მავანს, მიმიმდა ჩემი ქმრის სხელის დასხელეატე-გი შავთან და შით უმეტეს სხეების, მარა შავს, ამ შეჩვენებულმა, ჯადათის ხელში მათქმევისს შეთქმულთა ვინაობა. მე მინდოდა ჩემი ქმრის დაღუპვა და არ სხვისი. მე მინდოდა ერთი გაცის სიყვდილი და არა სხვისი. შავს ისარგებლან ჩემი არეულ-დარეული განებით, მე არ შეხსნოდა, რას ჩავდიოდი. მამის მე არ ვეკუთვნიოდი ჩემს თავს. დაბრმავებული სიყვარულით რაღაც უხინარი ძადა განავტებდ ჩემსარსებას. ძველი ეოფილას სიყვარული, მას არ სცოდნია ეოფინი, არ ჭქინათა სხვადარი. დაუნდობელი სტიქიოიხით შეპურობილი მე ვიდექ ჯადათის ხელით შეპურობილი და ისე ძალ-დაცანებით გამხცემინეს შეთქმულებას, რომელიც სრულიად არ უნდოდა ჩემს არსებას. ეს ჩამადიხათა ჩემს ქმრამ და შერე გი შავის შეჩვენებულის შავნამ წამებამ: ვინც მიამეფანს მე ჯამდის, მისი ბრადის და არა ჩემი.

დასასრულად, ბ-ნო მსავულნო, მე მინდა გითხრათ, რომ თქვენს წინაშე საქართველოს სარდალის შეუდღე ქეთევან ლიონისის ვა არა სდგას, — არამედ მისა, შესვლი ბატონისა.

მე გკითხებით თქვენ, ბ-ნო, განა დამნაშავეა ის მისა, რომლის გულშიაც ვადავით სიყვარულმა?. სიყვარულმა, რომელიც მას თავისუფლებას მინაშტეს? განა დამნაშავეა მისა, რომ მას გული ჭქინათ რამ შეეკარებია და შით თავისუფლების მუხსს შეღვრებია? —

ანა, არ არის დამნაშავე!

თამარ გოკოლაშვილი

### მხოლოდ უნ...

შავს წყვდიადში შეთხილას მარტოდ  
 შენ მომეკვლინე სხივად ხათულად...  
 შენის აღერსით შეშმატე ძალი  
 ბაქაურების ფეხთგასათულად...

ტკბილის ჭკობიკით შენ შემეყვარე  
 დამიხიო გაწამებული...  
 მხოლოდ შენ გიმდერ, რცხების დმურთო...  
 მხოლოდ შენ გიმდერ აღტაცებული...

დაღის ნათელმა მომტაცა სტრფოდ,  
 გამიკრათა სხივი გზის მხათბეული...  
 დაბოლად ჩანგი... დასწედენ სიმები...  
 გაჭქრა სიმღერა — სავადობელი...

დაე, მავამოს ბედის წყარმი  
 შენც გადავლახე, მტან ჭე, მავალე...  
 მახსნ შენ გიმდერ, ციურთა, ხაზა...  
 მხოლოდ შენ გიმდერ! შენ გუნჯავლე!..

ცისკარნი

(ქ. იოსელიანი)



ივან გომარითელი

გომარითელი 1936წ.

## დრამატიულ გამგეობის წევრი

ვოლ. 2 ქოქ. ივ. გომარითისა

(პირველი მოქმედება იხილე „თეატ. და ცხოვ.“ № 11)

### მომამდებია მემოკი

სცენა იგივეა. ზალაში ხალხია, თან და თან ემატება. სიღდერი რამდენჯერმე ვაალებს კარებს და ათვლიერებს ხალხს. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვა პეტრე, თავს უკრავს ხალხს და ლიბლით შვეა თავის კაბინეტში.

I

### ამბრა, მერე ცოლი და სიღდერი

**პეტ.** (გაივლ-გამოიფლის) ჩემი მილოდინი გამართლდა. გავხდი თუ არა დრამატიულ სასოციალოგის გამგეობის წევრი, კლიენტებით ზალა გაივსო. საკვირველთა ხალხის ფსიხოლოგია. (შემოდან დიმილით ცოლი და სიღდერი და ზეტრეს კაბინეტში შედინა; ორივე ჭკონიან ზეტრეს. ხან ერთი და ხან მეორე)

**ზიდ.** ამდენი კლიენტები, ამდენი კლიენტები! (თავს აქნევს და ლოყაზე ხელს ისევამს)

**ცოლ.** პეტია, მცოდნობი. როგორ უნდა გაართვა თავი ამდენ კლიენტებს?

**პეტ.** აი რას ნიშნავს დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრობა!

**ცოლ.** შენ გგონია იმიტომ მოვიდნენ ამდენი კლიენტები?

**პეტ.** რასაკვირველია, რასაკვირველია? გაა

ზეთში იწერება ჩემი გვარი, საზოგადოებამ გა-  
მიცნა და მოდიან. ეს ერთგვარი რეკლამაა,  
ჩემო კარგო.

**ზიდ.** (შვილს) ნულარ შეუშლით, შეიღო,  
ხელს, წავიდეთ (ჭკოცინას და გადიან. **იანონი**  
თავს შემოჭყობას კაბინეტში)

II

პატრე, იანონ და ახალგაზდა ყრუ

**იან.** ვიანლონ? (პეტრე თავს უგრავს თან-  
ხმობას ნიშნით და მაგიდას მიუჯდება, წინ ქაღალდს  
დაიდებს და კაღამს ხელში აიდებს. შემოდის ახალ-  
გაზდა **ყრუ**)

**პეტ.** დაბძანდით.

**ყრუ.** (დამიჯდით) დიახ, დიახ...

**პეტ.** თქვენ რა საქმე გაქვთ ჩემთან?

**ყრუ.** (უბიძნ საათს გამოადებს და ჩახე-  
დავს). ცხრა საათი გახლავთ.

**პეტ.** ეს ნამდვილად შეშლილ ა, რა გნე-  
ბავთ?

**ყრუ.** დიახ, გიმნაზიაში ვსწავლობდი,  
ოიხი კლასი გავთავიე

**პეტ.** (მხრებს აიწეებს) თქვენი სახელი?

**ყრუ.** ჩემი სახლი ბარონის ქუჩაზეა, მაგ-  
რამ სახლი ჩემი, მხოლოდ სახარავი კი სხვი-  
სი... ბანკშია დაგირავებული და დღეს თუ  
ხვალ გამეყიდება.

**პეტ.** დაბძანდით და ისე ილაპარაკეთ.

**ყრუ.** (დამიჯდით), დიახ, დიახ!

**პეტ.** ნამდვილად ყრუ არის. (უყვარის) დაბ-  
რძანდით!

**ყრუ.** ჰო, მე ცოტათ ყურს მაკლია,  
უკაცრავად.

**პეტ.** (თავისთვის) ცოტა კი არა, გვარი-  
ანად გკლებია, შენმა მზემ. (მას) რისთვის  
მობრძანებულხართ?

**ყრუ.** დიახ, დიახ..

**პეტ.** (უყვარდით) რისთვის მობრძანებულ-  
ხართ? (თავისთვის) ახირებულია თქვენმა მზემ,  
თუ ასე მაყვირა თავი გამისკდება ეს-ეს არის.  
(შუბლზე ხელს ისვამს)

**ყრუ.** ჰო, სახლი ბანკში მეყიდება, ბა-  
ტონო. სამსახური ვერსად ვიშოვე და არტის-  
ტად მიმიღეთ.

**პეტ.** (ჩვეულებრივის ხმით) თქვენ ყურს  
გაკლიათ და...

**ყრუ.** ფული, ბატონო, თქვენი საქმეა  
და თუ ჩემს მდგომარეობაში შეხვალთ, და-  
ლიან დაგმიადლებთ. ძალიან მიქირს.

**პეტ.** აკი დამავიწყდა, რომ ყვირილი უნ-  
და. (უყვარის) ყურთ გაკლიათ და სცენაზე არ  
მივიღებენ.

**ყრუ.** ყურს ცოტა მაკლია, ესეც გაივ-  
ლის. წინეთ უფრო მაკლია.

**პეტ.** (თავისთვის) ამაზე უფრო თუ გაკ-  
ლდა კიდე, ვი მისი ბრალი ვინც შენ დაგე-  
ლაპარაკებოდა. (ცოტა ხმა მადლა) სცენისა-  
თვის არ გამოდგებით, რადგანაც ..

**ყრუ.** დიახ, დიახ, ჯერ გამომცადეთ...  
გამოუცდელად რომ მიმიღონ, არც მე მინდა.

**პეტ.** (წამოადგება) ღმერთო, ეს რა ქირს  
გადავიკიდე. (მიუახლოვდება და უყრუში უყვარის)  
სცენისათვის არ გამოდგებით, ყურს გაკლიათ  
ძალიან. (გამბრუნდება) უუჰ! (ცხვირისაგან  
ამოიდავს და შეხვს იწმენდს, ოთახში დადის)

**ყრუ.** არც ისე მაკლია, ერთხელ თვატ-  
რში ვიყავი და სუფლიორი რო ყვიროდა მე-  
ყურებოდა გალიორკაზე და სცენაზე ვედარ  
გავიგებ.

**პეტ.** ამას მე თავიდან ვერ მოვიშორებ  
დღეს. (უყვარის) ძალიან კარგი, თხოვნა შე-  
მოიტანეთ გამგეობაში.

**ყრუ.** (ადგება და ხელს ანთმეებს) გმად-  
ლობთ, გმადლობთ. (გადის. შემოდის შუახნის  
ჩახიანი **ლოთი** გაცე წითური სახის, ცოტა შესი-  
ვებული ცხვირი აქვს, ლოთისაგან შეზარბაშე-  
ბულია).

ი. გომაროელი

(დასასული შემდგ ნომერში)

წერილი სასტრომთან

(გურული სცენა)

სულზე უტკებსო, ჩემო ძვირფასო გვრი-  
ტუნიავ, ლამაზო ჟოჯოფინა! ახლანდელმა  
შენმა წერილმა გული დამისერა, სული შემე-  
წუხა. შენ იწერები, ქე მიყვარხარ, მარა რა-  
ვენკა, დედამის მეშინიაო. ერთი მითხარი, ჩე-  
მო იაღონავ, სად გავიგონია შიშს სიყვარული  
მოცსპოს. შიში არაფელია, ოღონდ შენ რომი-  
წერე ნამდვილი გიყვარვარ თუ არა?! ისეთი  
წერელი მომწერე, რომ „მარა“ არ ვერიოს  
შით, თორემ მეტი მოთმენა აღარ შემიძლია,

შენი სიყვარულით ისეთი ვარ გაცოფებულ-  
ლი, რომ არ ვიცი, არ ვიცი რას ვიზამ. იცო-  
დენი, შენი თავი რომ ვინმემ წამართვას, იმას  
ცოცხალს არ გაუშვებ, რომ გამევიტან ჩემს  
მაჭახელას, კეკალ შუბლში გაუტეხილებ, მე-  
რე დაჯდეს და ჩემს მატყლი მისმა ქირის-  
უფალმა. მე ბაღანა კი არ ვარ, რომ ვსთქვა  
და გადავსთქვა... კი მართალია, ღარიბებ-  
ვართ ორივე და ცხოვრება ძლიერ გავგიჟირ-  
ლებმა, მარა რა ვუყუთ მერმე. ხომ იცი შენ:  
სიყვარული მხოლოდ ღარიბებს უფრო შეუ-  
ძლია, თორემ ზოგიერთი სტუდენტები და კუ-  
რისისტები რომ არიან, იგენს არც შეყვარება  
უჭირთ და არც გამოყვარება.

მე შენ რა კი შემეყვარდი  
და გულშიაი ჩამივიარდი,  
აღარ ძალიმის მოზოჩრება,  
თუნდაც ძლიერ გამოიჯავრდი.

კიდევ მ-ნდობა ცოტა ლექსათ მომეწე-  
რა, მარა მუხამ მილაღატა და მომიტევე შენი  
ქირიმი. პასუხს უყურეუტებ იცოდენ, არ და-  
მიგვიანო.

საკანელი პრეკრეფა

დრამატურგი

ზურაბ ნახარისი მე ანტონოვი

ნახევარ საუკუნეზე მეტი იქნება, რაც ახლად  
იფხვადგულმა ქართულმა თეატრმა უდრაოდ და-  
გარკ ერთი საუკეთესო მუშაკთაგანი—დრამატურგი  
ზურაბ ნახარისი მე ანტონოვი.

ანტონოვი დაიბადა 1820 წ. 20 თებერვალს  
ქ. გორში. მამა მისი იყო სომეხი და ფაქრბაის  
მისდევდა. ზირველ დაწყებითი სწავლა მიიღო  
მღვდლის ხელმძღვანელობით; შემდეგ მიაბარეს გო-  
რის სამხარეო სსწავლებელში, სადაც თავის ნიჭით  
და შვეითი განებით მსწავლებლობა ატარებდა  
მოჭედა. მაშინდელი სკოლის ზედამხედველს არა  
ერთხელ უთქვამს ზურაბის მამისთვის: „შენი შვი-  
ლი სამკალითა ნიჭის ზატრანია და უსათუოდ  
უმაღლეს სსწავლებელში გაგზავნე“—ო, მაგრამ  
მამის ვაჟები ძლიერ აღმზარდნ უუერებდენ სწავ-  
ლას და ჩვენი ზატრა ზურაბი იძულებული იყო  
მესამე კლასიდან გამოსულიყო.

სსწავლებელს და ამხანაგებს მომორბეული ზუ-  
რაბი ზირველს ხანებში დიდს სულიერ ტანჯვას გა-  
ნიციდა. მასში ერთი ორად იღვიძებდა სწავლის

წერვალი და თუკი სადმე რაიმე წიგნს მოკრავდა  
თვალს, უსთოდებ უნდა წაკითხს. წინააღმდეგ შემ-  
თხვევაში ავად ხდებოდა. ამნაირად მან მოკლე ხან-  
ში სკოლმწიგნით შეისწავლა ქართული ენა და მწე-  
რლობა. ძლიერ იშვითად ნასხვადით ანტონოვს  
ტყუილად მუკლამირეს. ბუნებით ცოცხალი ადამიანი  
ის მუდამ მოქმედებაში იყო.

1850 წ. დასრულდა ქართული თეატრი და ან-  
ტონოვი მისნაბობა რიცხვში ჩაეწერა. ამავე დროს  
დასწერა სხვა და სხვა ორიგინალური ზიქსები: „მე  
მინდა კენის გავხედე“, „ქოროლი“, „მზის დაბ-  
სლელა“ და სს. 1854 წელს ქართული თეატრის  
დირექტორმა თ—დ გიორგი ერისთავმა—„გულხე-  
რისმა“ თავის თანამდებობას თავი დაანება და ამის  
ადგილზე დანიშნეს ანტონოვი. მაგრამ ამის შემდეგ  
ერთი კვირაც არ გასულა, რომ ის ერთი გაიქვე-  
რის შურის-ძიებამ საშუალოდ მოაშორა სამშობლო  
მხარეს.

ქ. გორში იყო ერთი, სამხარეო სსსამართ-  
ლოს ზირველთან ნამუდგო, ბორტებით აღსავსე  
მემსულები—მირან ამირთავი, რომელმაც სხვა და  
სხვა სრეკებით შთელი გორის მამულები ხელში  
ჩაიკლა. გაბრუნებულმა ანტონოვმა ვერ მოითმინა  
ამისთან უსამართლობა. შეჭყარა გორელები, თითონ  
გაუძღვა წინ ნიშით და სდგურდიან დაწყებული  
სსამ კარაღეთის სსხვარამდი მივიდოდენ, კათხ-  
რეს ათი სთელავი და თითოეულს თავში ჯვარი და-  
უსუეს წარწერთ. ზირველი სთელავის ჯვარზე ეწე-  
რა: მირან ამირთავი, შერეხე—მისი ცოლის სს.  
ხელი და გვარი, მესამეზე—შვილის და ამ რთად  
„დამარხეს“ ამირთავი. აი ამ ამბავს ჩამოაგდო  
სამკვდრო-სსინციცხლად მტრებს ამირთავისა და  
ანტონოვს შორის.

ამირთავი ცდილობდა, როგორმე თავიდან მო-  
ქორების ანტონოვი. არც ანტონოვს კინა და  
ერთხელ კიდევაც სცემს ამირთავს. ბოლოს ანტონო-  
ვი დაწერა ზიქსი „კიორთავი“, რომელშიაც უმთავ-  
რეს მოქმედ ზირად გამოიყვანს ამირთავი. ამან სუ-  
ფორა განმწვევა მთი დამოკიდულებს. ეს იყო უკ-  
ნასწავლი მისი ზირთესტი კინცქმია ამირთავი  
წინააღმდეგ, რომელიც მამის ყოფლის შემდეგ  
ითვალდა...

გურგამს კანმა თავისი ბეული განზრახვა შეს-  
რულა და ანტონოვი დატყულებინა.

ანტონოვი, ისედაც დასურსებული, ხუთი დღე  
ყოფლია დამწვეველი მუხუთე საბოჭუელის ნაწილის

Handwritten note: 1850 წ.

სარდაფში. განთავისუფლების მეორე დღეს ის მიი-  
ცვდა. ამბობენ, ვითომ ანტონოვი ცოფით მოკ-  
ვდა. ეს სხვა გაყვრდელს „ამირაფებისტკის“,  
ამასვე იმეორებდნენ ზოგაერთი ჩვენი გულუბრალო  
ზუბლაინსტკი, რამეღაჯც დასაბუთებულ სინამ-  
დვილედ მიადეს ის, რაც მაქსორალი იყო არამსა-  
დების-მიერ.

მართლაც, ანტონოვი ძაღვს დაჭინა, მაგრამ  
ის ცოფიანი არ უფიქვია. ამის ამბოს თვით დრ-  
მატურგის ძმა, რამეღაჯც ცაცხალი მოწამე იყო ამ  
შემთხვევისა.

ანტონოვი მოკვდა ძაღვის ნაკეხში კი არა,  
არამედ მირანს ამირაფის ცოფში!

ად. თუთაყვი

ბრ. როზაქიძის ლექსია

შაბათს, 27 მარტს, ქართულ თეატრში  
გრიგოლ როზაქიძე წაიკითხავს ქართულად  
საჯარო ლექციას მეტად საინტერესო თემაზე:  
„რელიგია შშვენიერებისა“ (შესახებ ოსკარ უაი-  
ლდის შემოქმედებისა).

პროგრამა ლექციისა: ცხოვრება და შემო-  
ქმელება. სიყვარული და უკვდავება. მხატვრუ-  
ლი სახე, როგორც სიმბოლო უკვდავისა და  
მარადისა. უაილდის ესთეტიური თეორია. ზღა-  
პრები. დრამა „სალომე“ (სიყვარული და სი-  
კვდილი). რომანი „დორიან გრეი“ (ტრაგედია  
მშვენიერი სიკაცხლისა), სულიერი დრამა  
უაილდისა (თხზულება „De profundis“).  
უაილდის მნიშვნელობა.

ლექციის პირველი ნაწილი ეხება სიმბო-  
ლოზებისა და დეკადენტობის წარმოშობას. ხე-  
ლოვნება ჰქმნის სიმბოლიურ სინამდვილეს.  
რელიგია ამ სინამდვილეს „ნამდვილ სინამდ-  
ვილედ“ გარდაჰქმნის. როცა ხელოვანი ვერ  
აქცევს ხელოვნურ სინამდვილეს ცოცხალ სი-  
ნამდვილედ, მაშინ იგი თვითონ ხელოვნურ  
სინამდვილით იწყებს სიკაცხლეს, აქ იწყება  
მისი სულის დეკადანსი. ხელოვნური სინამ-  
დვილე „მოგონებულა“ და აი, უაილ-  
დიც ჰქმნის მშვენიერი ტყუილის თეორიას.

მეორე ნაწილი ლექციისა უაილდის „სა-  
ლომეს“ იხდის საგნად განხილვისა. ლექტორის  
აზრით, „სალომე“ ფორმის მხრივ თითქმის

ყველა ქმნილებაზე მალა სდგას: აქ უაილდმა  
სცადა თავისი მხატვრული ნიჭი და უმადლეს  
სტილით უკვდავყო იგი. ამავე ნაწილში იქ-  
მნება წამოყენებული საკითხი სიკვდილისა და  
სიყვარულისა.

მესამე ნაწილი პირველი ნაწილის ილ-  
ლუსტრაციაა. ლექტორი არჩევს უაილდის რო-  
მანს „დორიან გრეის“. ეს რომანი, ერთი  
მხრით განზორციელება უაილდის ესთეტიური  
თეორიისა, და მეორის მხრით იმავე თეო-  
რიის მხატვრული უარყოფა. აქვე განხილუ-  
ლი უაილდის სულიერი დრამა: იგი ცხოვრო-  
ბდა ხელოვნურ სინამდვილით (პოეზიით, მხა-  
ტვრობით, მუსიკით), მაგრამ როცა საპრო-  
ბილის სახით მას „ნამდვილი სინამდვილე“  
მოველინა, მაშინ იგი ველაჩ იხსნა მისმა „მშვე-  
ნიერი ტყუილის“ თეორიამ და მანაც უარყო  
იგი.

ლექტორის აზრით, უაილდი თანამედროვე  
სულიერი კულტურის სიმბოლიური მოვ-  
ლენაა: მან განიცადა მისი ავადმყოფობა და  
მანვე უჩვენა ახალი გზა დეკადანსიდან გა-  
მოსხნისა.

ეს ლექცია ლექტორმა პირველად ქუ-  
თაისში წაიკითხა, საცა დიდძალმა საზოგა-  
ლოებამ დიდის სიამოვნებით მოისმინა იგი.

ლექცია ახალი მხატვრული სტილით  
არის შეთხზული.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგა-  
ლოება, როგორც ყოველთვის, ახლაც სიამო-  
ვნებით დაეწრება ამ ლექციას; მით უმეტეს  
რომ ასეთ ლექციებს დიდი აღმზრდელობითი  
მნიშვნელობა აქვს.

ნახულ-გმოქნილი

(სათეატრო შობაზეკვლილებანი)

— საღ მირბინარ, ყმაწვილო, აგრე გაქქარებული?  
დამეკითხა ერთი ნაცნობი.

— თეატრში—მეთქი, — ვუპასუხე.

— რით არ მოგწყინდა ეგ თეატრი. . . ნუ თუ  
არ მოგებულა მუღმივი ცქერა დრამებისა, კომედიები-  
სა, შენი ნრუგები იტანენ?... კარგს რას ნახამ, ან რას  
გამოგცემენ ჩვენი უნიჭო, ხარმაკი არტისტები? ხალ-  
ხსაც ვერ შეხვდები... აზაფინ იქნება, მოგწყინება,  
ტყუილად მიღიხარ . . . მოდი ჩვენს ჯგუფს შეუერთდი;  
ნახე რამდენი შეგროვილვართ!.. ცირკში წავიდეთ,  
დღეს ერთი ამერიკელი თვალთმაქცი მოსულა, სუყვე-

ლა იქ მირბის, ენახათ, ამბობენ გასოცარ „ფოკუსებს“ აჩვენებს, მეტადრე,—ცოლს გააფრენს!. წამო, წამო!..

დავხედე სუყველას: აქ იყვნენ მასწავლებელნი, ექიმნი, მოხელენი, ყველა მოუთმენლად ელოდა, რომ მათი ამხანაგი მალე გამოირებოდა, ალბად დაგიანებოდა ეშინოდათ, რომ არ მომცდარიყვნენ ახალ მოსულის თვალთმაქცობასა და მისი ოსტატური მოტყუებით ისიამოვნათ. მუდმივ თვალთმაქცობას, მოტყუებას, ცოლების ფრენას დახეული მათი გონება ქვეყნიებს სიკრულის შორეეს, ცდილობს მთელი თავის ძალღონით ღრმად შეიგნოს სიკრულის ფსიხოლოგია, რომ მერე, ცხოვრებაში დასტებეს, იონინახოს... რა არის შეგვევა!.. რა რიგად ვართ მოწამულენი?!

არა, მე თეატრში მირჩენვინა-მეთქი, ვუბასუხებ, გამოვეთხოვე და გზას ვაფუძრე... საით, საით! წამო ფარსხე!, მომეხმა კიდევ ნაცნობის ხმა.

- არა—მეთქი, ქართულ თეატრში მივდივარ.
  - ფარსი სჯობია, წამოდი იქა!. მომძახეს.
- თავი დავეუქარ და გავეშურე. ბიველ თეატრში. დარბაზი კარიელი დახმედა!..

შეგრცხვა!..  
ოჰ, რა შიშს განიცდის ხალხი, როგორ გაურბის სინდისის გაღვივებას!.. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ არ დადის თეატრში!..

ფასები ძალზე იყო დაკლებული, წარმოდგენაში ნიჭიერი და გამოცდილი არტისტები იღებდნენ მონაწილეობას, პიესაც თანამედროვე იყო!..

9 საათზე ფარად აიხადა, მყურებლები აქ-იქ მოსიხანდნენ.

პიესა „მეგობრობა“ შიუვაშვილისა, მშენებელია... თვალთმაქცობის, მოტყუების, შურის, გაიძვივობის, სინანულის, ოცნების მომენტები, ფსიხოლოგიურის მხრით საუცხოოდ არის დაწერილი. მამის შეგვედრა ცოლ-შვილთან მიმიხ სანახავია, ბეგის მოგვაცა ტრემლები, ამსრულებელნიც ყველა თვითავის აღაგას იყვენ, ნაკლი ზოგიერთისა მხოლოდ ის იყო, რომ შესაფერად არ ეცვათ და ამით შთაბეჭდილებას ახდენდნენ.

იგი. გომბორთის პიესა „დრამატული გამოცდის წიგნი“ კარგად იქმნა შესრულებული: იქ მყოფნი სიამოვნებით დაიშალნენ კარგი წარმოდგენის ნაწიტი!..

განხსნა

## სათეატრო აზებუი

ადგილობრივი სუენა

◆ **მ. მ. საფაროვ-აბაშიძის** წარმოდგენა გაიმართება ორშაბათს, 29 მარტს, ქართულ თეატრში.

◆ **ნ. ნ. აბრამოვიჩის ლექციები** დაიწყება 23 მარტსად სახანო თეატრში. ლექციები შინარისის მხრით საინტერესო იქნება.

◆ **მ. ვ. დავლიძის გასტროლები** დანიშნულია სახანო თეატრში 29 და 30 მარტს.

◆ **სასულიერო კონცერტი გაიმართება** 30 მარტს საარტიტო საზოგადოების დარბაზში სასულიერო წოდების ჭერივ-ობოლთა სასარგებლოდ.

◆ **ი. კარგარეთელის საღამო** გაიმართება 3 აპრილს ქართ. თეატრში. მონაწილეობენ, სხვათა შორის, ნ. მ. ვაბუნი-ცაგარლისა, მომღერალი ი. პ. სარაჯიშვილი და სხ. ამ საღამოს პირველად შესრულებულ იქმნება „ქმულემა ოთა რუსთაველზე“ დ. არაყიშვილისა.

◆ **შეიქმნა სახალხო სახლში** ქარ. წარმოდ. მმართველმა წრემ 1? მარტს, სახალხო სახლში საზოგადოებას დაურიგა ფურცლები ორის კითხვითა 1, უფრო რომელი პიესაა სასურველი და 2, დადგმულ პიესათაგან უფრო რომელი მოგწონს? დარიგდა 276 ფურც. ყველაზე მეტი ხმა მიიღო: „ყაჩაღებმა“, „ლალაბა“, „ქრისტინემ“, „იმედის დაღუპვა“, „უღანაშაულნი დასჯილნა“, „ჰამლეტმა“, „დამარცხებულნა“, „მეფემ“ და „კინა“. დადგმულ პიესებიდან მოსწონებით: „ყაჩაღები“, „იმედის დაღუპვა“, „უღანაშაულნი დასჯილნი“.

## რუსეთის სუენა

შინ. საქ. მინისტრმა ნება არ დარიო იაროსლავში ემბარელთა საპატიეტო დასს წარმოდგენების გამართვისა.

◆ **იესო ქრისტეს დამცველი ბოქაუდი.** იაროსლავში დასდგეს რიშენის „მოწმენი“. იოანეს როლის შემსრულებელი მსახიობი სოტნიკოვი 1 და 2 მოქმედებაში ატარებდა გეულ წყერსა და თმას. მესამე მოქმედებაში სოტნიკოვი წყერ-ულვაშ გაპარსული შემოვიდა სცენაზე. ანტრაქტის დროს გამოირკვა, რომ მორიგ ბოქაულს გრძობთ შემოსილი სოტნიკოვი დაემგზავსებოდა... იესო ქრისტესათვის და უბრძანებია გრძობის მოხსნა.

◆ **პირვეარი სუენაზე.** არხანგელსკში ადგენდნენ ჩხოვის „ქირურგია“-ს. დიკენის როლის შემსრულებელმა მსახიობმა ვოლჟინმა სცენაზე პირვეარი დაიწერა, რის გამოც იგი პასუხის გეზაში მისცეს. მომრიგებელმა მოსამართლემ ვოლჟინი გაამართლა.

◆ **ყიარება და არტისტები.** „Т. и Я.“-ში ვიითხულობთ: „მ. ხ. ბ. რ. გაზთებდიან გავიგეთ, რომ სარატოვის ეპიკოპოსმა გერმოვენმა თეატრში მოსიარულეთ გადაუწყვიტა ეკლესიიდან გარისხვა. ჩვენ-კი, რუს არტისტთა ამხანაგობა (ყველა მართლმადიდებლები ვართ) საღიღმბარხვოდ მოწვეული ვართ სარატოვში, მართლმადიდებელი ეკლესია მოითხოვს მარხვაში წმინდა საიდუმლოების მიღებას. როგორ მოვიქცეთ, როდესაც სულიერი მამა შეგვეკითხება ჩვენის პრაფესიის შესახებ? დამალვა—დიდ ცოდვად მიგვჩანია. ვალიაროთ, რომ არტისტები ვართ?.. მაგრამ თუ ეპიკოპოსი თეატრის მოსიარულეთ ეკლესიიდან გარისხვას ეუქურება. რა რი-

სარდაფში. განთავისუფლების მეორე დღეს ის მიი-  
ცვალა. ამბობენ, ვითამ ანტონოვი ცხოვით მოკ-  
ვდა. ეს სმა გააფრთხილეს „ამირიკებისტუმმა“,  
ამასვე იმეორებდნენ ზოგაერთი ჩვენი გულუბრივედო  
შუბლიცისტები, რომელთაც დასაბუთებულ სინამ-  
დვილედ მიიღეს ის, რაც მოჭთარდა იყო არამზს-  
დების-მიერ.

მართალია, ანტონოვი ძღღმა დაკბინა, მკვრამ  
ის ცხოვინა არ ეოფილა. ამის ამბის თვით დრ-  
მატურგის ძმა, რომელიც ცოცხალი მოწამე იყო ამ  
შემთხვევის.

ანტონოვი მოკლას ძღღღღს ნაკბენმა კი არა,  
არამედ მირან ამირიკის ცოფიმა!

აღ. თუთაევი

## ბრ. როზაქიძის ლექსია

შაბათს, 27 მარტს, ქართულ თეატრში  
გრიგოლ როზაქიძე წაიკითხავს ქართულად  
საჯარო ლექციას მეტად საინტერესო თემაზე:  
„რედიაჲ მშვენიერებისა“ (შესახებ ოსკარ უა-  
ილდის შემოქმედებისა).

პროგრამა ლექციისა: ცხოვრება და შეო-  
ქმელება. სიყვარული და უკვდავება. მხატვრუ-  
ლი სახე, როგორც სიმბოლო უკვდავისა და  
მარადისა. უაილდის ესთეტიური თეორია. ზღა-  
პრები. დრამა „სალომე“ (სიყვარული და სი-  
კვდილი). რომანი „დორიან გრეი“ (ტრაგედია  
მშვენიერი სიცოცხლისა), სულიერი დრამა  
უაილდისა (თხზულება „De profundis“).  
უაილდის მნიშვნელობა.

ლექციის პირველი ნაწილი ეხება სიმბო-  
ლიზმისა და დეკადენტობის წარმოშობას. ხე-  
ლოვნება ჰქმნის სიმბოლიურ სინამდვილეს.  
რელიგია ამ სინამდვილეს „ნამდვილ სინამდ-  
ვილედ“ გარდაჰქმნის. როცა ხელოვანი ვერ  
აქტევეს ხელოვნურ სინამდვილეს ცოცხალ სი-  
ნამდვილედ, მაშინ იგი თვითონ ხელოვნურ  
სინამდვილით იწყებს სიცოცხლეს. აქ იწყება  
მისი სულის დეკადანსი. ხელოვნური სინამ-  
დვილი „მოგონებულია“ და აი, უაილ-  
დის ჰქმნის მშვენიერი ტყუილის თეორიას.

მეორე ნაწილი ლექციისა უაილდის „სა-  
ლომეს“ იხდის საგნად განხილვისა. ლექტორის  
აზრით, „სალომე“ ფორმის მხრივ თითქმის

ყველა ქმნილებაზე მაღლა სდგას: აქ უაილდმა  
სცადა თავისი მხატვრული ნიჭი და უშაღღეს  
სტილით უკვდავყო იგი. ამავ ნაწილში იქ-  
მნება წამოყენებული საკითხი სიკვდილისა და  
სიყვარულისა.

მესამე ნაწილი პირველი ნაწილის ილ-  
ლუსტრაციაა. ლექტორი არჩევს უაილდის რომ-  
მანს „დორიან გრეის“. ეს რომანი, ერთი  
მხრით განხორციელება უაილდის ესთეტიური  
თეორიისა, და მეორის მხრით იმავე თეო-  
რიის მხატვრული უარყოფა. აქვეა განხილუ-  
ლი უაილდის სულიერი დრამა: იგი ცხოვრო-  
ბდა ხელოვნურ სინამდვილით (პოეზიით, მხა-  
ტვრობით, მუსიკით), მაგრამ როცა საზოგო-  
ბილის სახით მას „ნამდვილი სინამდვილე“  
მოველინა, მაშინ იგი ველაჩ იხსნა მისმა „მშვე-  
ნიერი ტყუილის“ თეორიამ და მანაც უარყო  
იგი.

ლექტორის აზრით, უაილდი თანამედროვე  
სულიერი კულტურის სიმბოლიური მოე-  
ლენაა: მან განიცადა მისი ავადმყოფობა და  
მანვე უჩვენა ახალი გზა დეკადანსიდან გა-  
მოხსნისა.

ეს ლექცია ლექტორმა პირველად ქუ-  
თაისში წაიკითხა, საცა დიდძალმა საზოგა-  
ლოებამ დიდის სიამოვნებით მოისმინა იგი.

ლექცია ახალი მხატვრული სტილით  
არის შეთხზული.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგა-  
ლოება, როგორც ყოველთვის, ახლაც სიამო-  
ვნებით დაესწრება ამ ლექციას; მით უმეტეს  
რომ ასეთ ლექციებს დიდი აღმზრდელობითი  
მნიშვნელობა აქვს.

## ნახულ-გაგონილი

(სათეატრო შთაბეჭდილებანი)

— საღ მიროზხარ, ყმაწვილო, აგრე გაჩქარებული  
დამეკითხა ერთი ნაცნობი.

— თეატრში—მეთქი, — ვუბნახსე.

— რით არ მოგწყინდა ეგ თეატრი!.. ნუ თუ  
არ მოგებუნდა მუდმივი ცქერა დრამებისა, კომედიები-  
სა, შენი წერებები იტანენ?... კარგს რას ნახამ, ან რას  
გაღმგაცემენ ჩვენი უნიჭო, ზარამაცი არტიტები? ხალ-  
ხსაც ვერ შეხედები... არაფერ იქნება, მოგწყინება,  
ტყუილად მიდიხარ :. მოდი ჩვენს ჯგუფს შეუერთდი;  
ნახე რამდენი მშვენიერი თეატრია!.. ციკში წავიდეთ,  
დღეს ერთი ამერიკელი თეატრმაქი მოსულა, სუფიე-

ლა იქ მივბრუნდებით, ენახათ, ამბობენ გასაოცარ „ფოკუსებს“ აჩვენებს, მეტადრე, —ოვლს გააფრენს! . წამო, წამო! .

დავხედო სუყველას: აქ იყვნენ მასწავლებლები, ექიმი, მოხელენი, ყველა მოუთმენლად ელოდა, რომ მათი ამხანაგი მალე გამოვარდებოდა, ალბათ დაგვიანებისა ეშინოდათ, რომ არ მომცდარიყვნენ ახალ მოსულის თვალთმაქცობასა და მისი ოსტატური მოტყუებით ესიაშინებინათ. მუდმივ თვალთმაქცობას, მოტყუებას, ცოლების ფრენას დაჩვეული მათი გონება კ'დევიციებს სიტყვის მორვეს, ცდილობს მთელი თავის ძალღონით ღრმად შეიგნოს სიტყვის ფსიხოლოგია, რომ მერე, ცხოვრებაში დასტუტებს, იოინბახოს... რა არის შეჩვევა!.. რა რიგად ვართ მოწამულენი?!

არა, მე თეატრში მიჩინებინა-მეთქი, ვუბასუხე, გამოვეთხოვე და გზას ვაგუდღექ!.. საით, საით! წამო ფარსუქ!.. მომემა კიდე ნაცობის ხმა.

- არა—მეთქი, ქართულ თეატრში მივდივარ.
  - ფარსი სჯობია, წამოდი იქა!.. მომამახსენე.
- თავი დავუქარ და გვექუურე. მიველ თეატრში, დარბაზი ცარიელი დამხვდა!.. შემრცხევა!..

ოჰ, რა შიშს განიცდის ხალხი, როგორ გაურბის სინიდისი გაღვიძებას!.. სწორად ეს არის მიზეზი, რომ არ ღადის თეატრში!..

ფასები ძალზე იყო დაკლებული; წარმოდგენაში ნიჭიერი და გამოცდილი არტისტები იღებდნენ მონაწილეობას, პიესა თანამედროვე იყო!..

9 საათზე ფარდა აიხადა, მაყურებლები აქ-იქ მოსიანდნენ.

პიესა „მეგობრობა“ შუიკაშვილისა, მშვენიერია!.. თვალთმაქცობის, მოტყუების, შურის, გაიჭივრობის, სინანულის, ოცნების მომენტები, ფსიხოლოგიურის მხრით საუცხოოდ არის დაწერილი. მაისი შეჩვედრა ცოლ-შვილთან მიმე სანახავია, ბევრს მოგვარა ცრემლები, ამსრულებელნიც ყველა თავთავის ალაგას იყვენ, ნაკლი ზოვიერთისა მხოლოდ ის იყო, რომ შესაფერად არ ეცკათ და ამით შთაბეჭდილებას ახდენდნენ.

იგ. გომართლის პიესა „დრამატულ გამგეობის წიგნი“ კარგად იქმნა შესრულებული: იქ მყოფნი სიამოვნებით დაიშალნენ კარგი წარმოდგენის ნახვით!..

განხანა

სათეატრო აზრები

ადგილობრივი სცენა

◆ 8. 8. საფაროვ-ამაშიის წარმოდგენა გაიმართება ორშაბათს, 29 მარტს, ქართულ თეატრში.

◆ 5. ა. აბრამოვიჩის ლექციები დაიწყება 23 მარტს დარბაზში თეატრში. ლექციები შინარისის მხრით სანტერესოა იქნება.

◆ 8. 9. დაღესიას განცხადება დანიშნულია სახანო თეატრში 29 და 30 მარტს.

◆ სასუდიერო კონცერტი გაიმართება 30 მარტს საარტისტი საზოგადოების დარბაზში სასულიერო წოდების ქერეც-ობოლოთა სასარგებლოდ.

◆ ი. კარგარეთიას საღამო გაიმართება 31 აპრილს ქართ. თეატრში. მონაწილეობენ, სხვათა შორის, მ. შ. გაბუნია-ცაგარლისა, მომღერალი ი. პ. სარაჯიშვილი და სხ. ამ საღამოს პირველად შესრულდება იქმნება „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დ. არაკიშვილისა.

◆ შეიქმნა სახალხო სასულიერო ქარ. წარმოდგენა. მმართველმა წრემ 12 მარტს, სახალხო სასულიერო საზოგადოებას დაურთო ფურცლები ორის კითხვით 1, უფრო რომელი პიესაა სასურველი და 2, დადგმულ პიესათაგან უფრო რომელი მოგწონთ? დარიგდა 276 ფურცელზე მტერი ხმა მიიღო: „ყაჩაღებმა“, „ლალატმა“, „ქრისტიანმა“, „იმედის დაღუპვამ“, „უდანაშაულოდ დასჯილმა“, „ჰამლეტმა“, „დამარცხებულმა“, „მეფემ“ და „კინმა“. დადგმულ პიესებიდან მოსწონებიათ: „ყაჩაღები“, „იმედის დაღუპვა“, „უდანაშაულოდ დასჯილი“.

რუსეთის სცენა

შინ. საქ. მინისტრმა ნება არ დაართო იაროსლავში ებრაელთა სიახერეტო დას წარმოდგენების გამართვისა.

◆ იესო ქრისტეს დამცველი ბოქაული. იაროსლავში დასდგეს რიშპენის „მოწამენი“. ითანეს როლის შემსრულებელი მსახიობი სოტნიკოვი 1 და 2 მოქმედებაში ატარებდა გელ წვერსა და თმას. მესამე მოქმედებაში სოტნიკოვი წვერ-ულვაშს გაპარსული შემოვიდა სცენაზე. ანტრატის დროს გამოირკვა, რომ მორიგ ბოქაულს გრიმით შემოსილი სოტნიკოვი დაემგზავსებია... იესო ქრისტესათვის და უბრძანებია გრიმის მოხსნა.

◆ პირველი სცენაზე. არხანგელსკში ადგენდნენ ჩეხოვის „ქარტუგია“-ს. დიკენის როლის შემსრულებელმა მსახიობმა ელკანინმა სცენაზე პირველი დაიწერა, რის გამოც იგი პასუხის გემაში მიიტეს. მორიგებებელმა მომართველ ელკანინი გაამართლა.

◆ ზიარება და არტისტები. „Т.И.И.“-ში ვკითხულობთ: „მ. ხ. ბ. რ! გაზეთებიდან გავიგეთ, რომ სარატოვის ეპისკოპოსმა გერმანემა თეატრში მოსიარულეთ გადაუწყვიტა ეკლესიიდან გარისხვა. ჩვენ-კი, რუს არტისტთა ამხანაგებმა (ყველა მართლმადიდებლები ვართ) სადი-დამარხვად მოწვეული ვართ სარატოვში, მართლმადიდებელი ეკლესია მოითხოვს მარხვაში წმინდა საიდუმლოების მიღებას. როგორ მოვიქცეთ, როდესაც სულიერი მამა შეგვეკითხება ჩვენის პროფესიის შესახებ? დამალვა—ლიდ ცოლდად მივგანჩია. ვაღიაროთ, რომ არტისტები ვართ?.. მაგამ თუ ეპისკოპოსი თეატრში მოსიარულეთ ეკლესიიდან გარისხვას ეუქუება. რა რი-

გი სსსჯელი მოგველის ჩვენ, ქურუმთ იმ ადგილისა, „სადაც გამეფებულა ბინძურება, თვით სატანა“! ესთ-ხოვეთ სამღვდლოებას ამ საციხის განმარტებას. ამაზნავობის წარმომადგენელი **კ. ი. ვანჩენკო**“.

➔ **წრესგადასული ლაქიობა**. მელიტოპოლის რეპლურ სსსწველების დირექტორმა იაკერა, Точка მოწაფეთათვის პოლიტიკურის მხრე მკენედ ჩასთვალა. ამიტომ უბრძანა პოლიციელს, მოწაფეთ თეატრში წუ შეუშებო.

უცხო ირს სცენა

➔ **ბერნარდე შოუმ** დიდი თვისებებობა გამოიჩინა ჩინებული დრამის დაწერით. ყურადღება მიქცია მისმა ახლად დაწერილმა პიესა „მეზალიანს“—ამ, რომელიც დადგმულ იქნა ლონდონში.

მოქმედება სწარმოებს მდიდარ მექარხნის ტარ-ლტონის ოჯახში. ტარლტონის ჰყავს ცოლი, შვილი და ქალი. ტარლტონის შვილი დემოკრატია, ცოლი ოჯახის მფარველი ანგელოზი და ქალი—გამოხატეულია ინგლისელი ქალების ზნე-ჩვეულები და მისწრაფებისა; იგი დიდ ყურადღებას აქცევს ქალთა ზნეობრივ სიფაქიზებს.

ერთი შემთხვევის წყალობით ამ ოჯახში ორი სიყვარული შეიპარება: ქალს ვილაცა ყმაწვილი შეუყვარდება და ვაცსაც იგივე დაწერა. მეგნი ახალგაზრდები არიან, მათ მართლა სწამთ სიყვარულის ქემზარტება, ბედნიერება და ხალხის სიკეთე. მაგრამ აქ ცხოვრება ყველას ნანტრამ შეუღლის: შვილს დაავიწყდება, დემოკრატობა ქალს—ქალთა ზნეობრივი სიფაქიზე და დედასაც სხვა უფინდური აზრები გაიტაცებენ. არც ერთი სიყვარული არ დაბოლოვდება ქორწინებით, სუყველანი დაჰშორდებიან ერთმანეთს. აქ აღმოჩნდება მექარხნის უკანონო შვილიც, რომელიც მოსთქმებს და ჰგოდებს. თან დაეძვბს სიმარტოვს, ქემზარტებას, მაგრამ რა ლუჯარგეს, რას ეძებს? იგი რწმუნდება, რომ ყველაფერი ამაოა და ბორტეტისა—კენ არის წარმართული: დედა შვილს ჰკიდის, შვილი დედის მტერია—უსამართლობის ჩამდენია, როგორც დამახასიათებელი მთელი მსოფლიოსი.

➔ **ანდრე პიკარმა**, საფრანგეთის ახალგაზრდა დრამატურგმა, დიდი ყურადღება მიქცია საზოგადოების თავის უკანასკნელი პიესა „Seuness“—თი, რომელიც ასაჯერ დაედა პარიზის თეატრში.

ეს პიესა კომედია ხასიათებისა. მთავარ გმირია ტერეზა დიუენო, მეტად პირქუში და სასტიკი ხასიათის ქერივი. მისი ახლა მყოფნი ევაზიან ბორტეტსა და ამაყს. ტერეზას ტყუილ-უბრალოდ მოუვა ჩხუბი თავის ძმის სტუმართან, მხატვართან, რომელიც დროებით იმყოფება მასთან.

მხატვარს ჯავრი მოსდის ქერივზე; ეჯავრება იგი ტერეზა კიდევ ამხელს მხატვრის დამოკიდებულებას თავის რძალთან. ტერეზა ურჩევს მხატვარს კავშირის გაწყვეტას, მაგრამ მხატვარი არა თანხმდება, ქერივი ტერე-

ზა ემეჭრება მას, ჩემს ძმას ვუამბობ ყველაფერსაო. მათე-ტვარი ამ ქერივის განზრახვას ჩააქოზბს მისის კონიოთ, რომელსაც ასე სასტიკი და პირქუში ტერეზა მონად გაუზღდება. სწორედ ეს არის აუნიშნული ნაყოფი, როგორ მოხდა, რომ ერთ დიდდაცეს შეუყვარდა მხატვარი, რომელიც ისე ეჯავრებოდა. პიესა მოხერხებულად და მხატვრულად თავდება.

მერცხალი

➔ **მსახიობი პოზნანსკი (საგუარი)** პარიზში მივიდა. ამ 25 წ. ყმაწვილს დაუწერია 1 მოქმედებიანი დრამა რუსეთ—იაპონიის ომიდან. მის დადგმას შეუდგენენ პარიზში და დეკორაციები შეუკეთებს, მაგრამ ცენზორმა აღკრძალა: რუსეთში შარი არ მოუღდოს რა საფორანგეთსაო, რადგანაც ამ პიესის ავტორს რუსეთში არც გამოუჩენია თავის დრამა შიშის გამოვო.

საგუარსა და მის მეგობარს ნოზიერს დიდი ნიჭი გამოუჩენია დრამატულ საქმეებში: მათ გადაუკეთებიათ ტრუსტონის რომანი ფრანგულ პიესად, რომელიც დაუღვამთ პარიზში და დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

➔ **სამღვდელოების წინააღმდეგ**. ამ დღებში მადრიდის „Featro Espanos“ ის სცენაზე წარმოდგინილი იქნა პერტე გალდოსის ახალი პიესა „კასანდრა“, რომელიც მიმართულია კლერიკალების წინააღმდეგ. წარმოდგენის გათავების შემდეგ სამღვდელოების წინააღმდეგ მოხდა დემონსტრაცია.

შალიაბინი დონ-კისოვის როლში

(საკუთარის კოკესბონდენტისაგან)

არ აზის მთელ ევროპაში კაცი, რომელმაც შალიაბინის სსსხედი არ იცოდეს. „სსსხედი არ იცოდეს“, ვამბობთ, რადგანაც მის მონსწილეობით გამართულ წარმოდგენის ხსენება საზრგო სიება—ისე მსქლია იქ მოსეგდარს. ეს სსსხედი დაუმსსურებად ანა ჰქვს მოსეყვლია. იგი თითქმის განთქმულ კომპოზიტორებს უდგას ვეკდამს. საოკი ერთი ობერამ, რომელიც ახლაც არქეუმი იქნებოდა მტკრით დაფორული, მსოფლიოდ მისი ამაკით გათქვა სსსხედი უეკდაჯად რჩება მისკან შექმნილი „მეიესტიკლეი“, „მეიესტიკლეი“, „სესსინია“ და ბუერი სსსხე.

რად გასკვირვებოდა, რომ კომპოზიტორმა მასსეუმ „დან-ვისტოს“ ჰმრტია განსკუთრებით შალიაბინისთვის დასწერა. ზირვლად ეს ახალი ობერამ მონტეკარდოს სდაპერო თეატრის სცენაზე იქმნა დადგმული. სსსხეჯარ-გარეთული პრესა ერთნხმად აღადრეს შალიაბინის-მეგრ დან-ვისტოს როლის შექმნას და შეუდარებლად შესურვლებას. არა მარტო მსსსად ხმას, ანამედ შეუდარებულ თამაშს მართლაც რომ დადებულ მსოფლიო არტისტისას დეტცეპაში მოაყეს მსმენელები.

სოკოლი

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

საქართველო